დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

17.10.2017წ.

ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის N GE110000035551-1-02

ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო სარეგისტრაციო N GE110000035551

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

აქციების ემისიის საბოლოო პროსპექტი

ნიკორა სუპერმარკეტი

სააქციო საზოგადოება "ნიკორა ტრეიდი"

(საიდენტიფიკაციო კოდი: 206255808)

წინამდებარე ემისიის საბოლოო პროსპექტი შეეხება კომპანიის მიერ არაუმეტეს 1. 000. 000 (ერთი მილიონი) ცალი ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი კლასის აქციების საჯარო შეთავაზებას („აქციები"). აქციები მიეკუთვნებიან იმავე კლასს, რომელსაც კომპანიის განთავსებული ჩვეულებრივი აქციები.

ეს პროსპექტი („პროსპექტი") შემუშავებულია სს „ნიკორა ტრეიდი"-ს („კომპანია" ან „ემიტენტი") მიერ, რომელიც წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას დაარსებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 2006 წლის 14 აგვისტოს, საიდენტიფიკაციო კოდი 206255808, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, მერაბ ქავთარაძის ქ №11.

ემისიის პროსპექტის თარიღი: 11 ოქტომბერი 2017წ.

წინამდებარე ემისიის პროსპექტით არ ხდება აქციათა მფლობელთა სახელით აქციათა შეთავაზება.

ყველა აქციის საჯარო შეთავაზება და განთავსება მოხდება „ემიტენტის“ მიერ (შესაძლებელია ნომინალური მფლობელების მეშვეობითაც).

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მისი მიმღების მიერ, ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დაუშვებელია წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მთლიანად ან ნაწილობრივ გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ განსაზღვრული მიზნებისა.

„კომპანია“ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ არსებულ ინფორმაციაზე. „კომპანია“ აცხადებს, რომ მან მიიღო ყველა გონივრული ზომა „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაციის სისწორის და სისრულის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მასში არ არის გამოტოვებული რაიმე ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ამ ინფორმაციაზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გავრცელება და „აქციების“ შეთავაზება შესაძლებელია აკრძალული იყოს ზოგიერთ სახელმწიფოში. ის პირები, ვის მფლობელობაშიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ აღმოჩნდება, ვალდებულნი არიან შეატყობინონ „კომპანიას“ (როგორც ეს განმარტებულია **„განთავსებასა და გაყიდვაში“**) ამგვარი შეზღუდვების არსებობის და მათი დაცვის შესახებ.

დაუშვებელია „აქციების“ „განთავსება“, „საჯარო შეთავაზება“ ან „რეკლამირება“ (როგორც თითოეული ტერმინი განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობით) საქართველოს გარდა სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და მასში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს „აქციების“ რეკლამას, შეთავაზებას, მოწვევას ოფერტზე, გაყიდვას, გაცვლას და/ან სხვაგვარ გადაცემას საქართველოს ფარგლებს გარეთ. წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს „აქციების“ შეთავაზებას მხოლოდ საქართველოს ფარგლებს შიგნით. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ არის დამტკიცებული არც ერთი მარეგულირებელი ორგანოს მიერ, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა (**“სებ”**), რომელიც ამჟამად წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოფიციალურ მარეგულირებელ ორგანოს.

შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. „აქციების“ შეთავაზება არ უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფოში. უცხოელმა რეზიდენტებმა, რომლებიც შესაძლებელია გახდნენ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ადრესატები, უნდა უზრუნველყონ, რომ ჰქონდეთ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში იმგვარად, რომ არ გახდნენ რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობის სუბიექტები. ამასთან, რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობისადმი დაქვემდებარების შემთხვევაში, ადრესატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ „კომპანიას“.

ნებისმიერმა პირმა, რომელსაც სურს შეიძინოს ან შეისყიდოს „აქციები“, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა და მიიღოს ყველა აუცილებელი სამთავრობო ან სხვაგვარი თანხმობა და დაიცვას ყველა შესაბამისი ფორმალობა.

ინვესტორები უნდა დაეყრდნონ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ პირდაპირ მოცემულ ან მითითების გზით მასში ჩართულ ინფორმაციას. „აქციების“ გამოცემასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებით, არც ერთ პირს არ აქვს უფლება გასცეს ისეთი ინფორმაცია ან გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც არ არის მოცემული ან ჩართული წინამდებარე „ემისიის

პროსპექტში“. „კომპანია“ არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი ინფორმაციაზე, რომელიც მოცემული ან ჩართული არ არის წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიწოდება ან მის საფუძველზე „აქციების“ გაყიდვა არ გულისხმობს, რომ „ემისიის პროსპექტის“ გაცემის თარიღიდან „კომპანიის“ საქმეებში არ შესულა ცვლილებები.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეთავაზების მიზნებისათვის ნებისმიერ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი შეთავაზება არ არის კანონიერი ან ნებადართული, ან ნებისმიერი ისეთი პირის მიმართ, რომლის მიმართაც ამგვარი შეთავაზების გაკეთება არ არის კანონიერი ან ნებადართული; არ ხორციელდება რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც დაუშვებდა „აქციების“ შეთავაზებას ან „ემისიის პროსპექტის“ გავრცელებას იმ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი ქმედება აუცილებელია.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოცემა და გავრცელება, ასევე „აქციების“ ნებისმიერი შეთავაზება ან გაყიდვა, არ წარმოადგენს „კომპანიის“ ან მისი ნებისმიერი „აღმასრულებელი დირექტორის“, თანამდებობის პირის ან დასაქმებულის მიერ, „კომპანიის“ წესდებით („**წესდება**“), კანონმდებლობით ან სხვა რეგულაციით მინიჭებულ რაიმე ისეთ უფლებაზე, იმუნიტეტზე, პრივილეგიაზე ან შეღავათზე უარის თქმას, რომელიც მათ უნარჩუნდებათ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ საფუძველზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ მომზადებულია ინგლისურ და ქართულ ენებზე. თარგმანებს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ ქართულ ლარზე და “GEL”-ზე მითითება გულისხმობს საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე მითითებას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ინფორმაციის ჩართვა მითითების გზით

„კომპანია“ ამზადებს ყოველწლიურ, აუდიტორის მიერ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშს (მისი შენიშვნების ჩათვლით) („**ფინანსური ანგარიშგება**“), რომელიც აღწერს „კომპანიას“, მათ შორის, მის კაპიტალს, ოპერაციებს, ადმინისტრაციას, წესდებას, სამართლებრივ სტატუსს და მის ძირითად ფინანსურ პოლიტიკას. თითოეული „საინფორმაციო ანგარიში“ ასევე შეიცავს აუდიტორის მიერ შემოწმებულ უახლეს ფინანსურ ანგარიშებს.

„კომპანიის“ უახლესი „**ფინანსური ანგარიშგება**“ ითვლება წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ნაწილად. „ემისიის პროსპექტზე“ მითითება გულისხმობს წინამდებარე დოკუმენტს და ასევე ნებისმიერ სხვა დოკუმენტს, რომელიც მასში ჩართულია მითითების გზით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი დოკუმენტი ჩანაცვლებულია ან შეცვლილია სხვა უფრო ახალი დოკუმენტით, რომელიც, თავის მხრივ, მითითების გზით ჩართულია „ემისიის პროსპექტში“ და წარმოადგენს მის ნაწილს.

„ემისიის პროსპექტში“ მითითების გზით ჩართული „**ფინანსური ანგარიშგების**“, ასლები განთავსებულია „კომპანიის“ ვებ გვერდზე www.nikorasupermarket.ge და შესაძლებელია მოპოვებულ იქნას დაინტერესებული ინვესტორის მიერ.

სარჩევი

სამომავლო განცხადებები vi
მესამე პირების ინფორმაცია vii
გაცვლითი კურსის ისტორია viii
კომპანიის მიმოხილვა და ისტორია ix
შეთავაზების მიმოხილვა xii
რისკ-ფაქტორები 1
კაპიტალიზაცია და დავალიანება 9
მიღებული სახსრების გამოყენება 10
კომპანიის გეგმები და დაგეგმილი ფინანსური მაჩვენებლები მომდევნო წლებში 10
„კომპანიის“ საოპერაციო გარემოს და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა 14
მაკრო ეკონომიკური სიტუაციის მიმოხილვა 14
ბოლო პერიოდის ეკონომიკური განვითარებები 14
ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები 16
საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მიმოხილვა 16
საერთაშორისო პერსპექტივა 17
საკვებით საცალო ვაჭრობა 18
ბიზნესი და ოპერაციები 20
ფინანსური ინფორმაცია 22
ძირითადი რისკ ფაქტორების მიმოხილვა 34
უახლესი პერიოდის მონაცემები 36
მფლობელობის სტრუქტურა და მენეჯმენტი 38
მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა 40
კომპანია მარეგულირებელ კანონმდებლობასთან მიმართებაში 46
მნიშვნელოვანი სასამართლო დავები 47
მატერიალური ხელშეკრულება 47
ხელმოწერის პროცედურა 47
ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელი აქციონერის უფლებები 48
დაბეგვრის პირობები 48
სხვა საკითხები 51
გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია 51

სამომავლო განცხადებები

წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული განცხადებების ნაწილი შესაძლებელია წარმოადგენდეს **„სამომავლო განცხადებებს“**. სამომავლო განცხადებები შეიცავს განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას, რომელიც არ წარმოადგენს ისტორიულ ინფორმაციას.

ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მოსალოდნელი“, „სავარაუდო“, „მიზანი“, „პოტენციური“, „ელის“, „სჯერა“, „მიზნად ისახავს“, „ვარაუდობს“, „პროექტი“, „შეიძლება“, „უნდა“, „შესაძლებელია“, „გეგმა“, „მიღწევა“ და სხვა მსგავსი გამონათქვამები გამოხატავს სამომავლო განცხადებებს, მაგრამ არ არის ერთადერთი საშუალება ამგვარი განცხადებების იდენტიფიცირებისთვის.

თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, სამომავლო განცხადებები შეიცავს დამახასიათებელ რისკებს და გაურკვევლობებს, როგორც ზოგადს, ასევე კონკრეტულს, და არსებობს რისკი, რომ ვარაუდები, პროგნოზები და სხვა სამომავლო განცხადებები არ იქნება მიღწეული. აღნიშნული რისკები, გაურკვევლობები და სხვა ფაქტორები, მათ შორის, მოიცავს **„რისკ-ფაქტორებში“** და ასევე „ემისიის პროსპექტის“ სხვა ნაწილებში ჩამოთვლილ ფაქტორებს. ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა შესაძლებელია გამოიწვიოს ფაქტობრივი შედეგები, რომლებიც არსებითად განსხვავდება სამომავლო განცხადებებში მოცემული გეგმებისგან, მიზნებისგან, მოლოდინებისგან, ვარაუდებისგან და განზრახვებისგან.

შესაბამისად, ინვესტორები ზედმეტად არ უნდა დაეყრდნონ სამომავლო განცხადებებს და, სამომავლო განცხადებების განხილვისას, ფრთხილად უნდა გააანალიზონ აღნიშნული ფაქტორები და სხვა გაურკვევლობები და მოვლენები. წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ სამომავლო განცხადებები მოცემულია „ემისიის პროსპექტის“ გამოცემის დღეს არსებული მდგომარეობით. „კომპანია“ არ იღებს ვალდებულებას განაახლოს ან შეასწოროს რომელიმე მათგანი (ახალი ინფორმაციის, სამომავლო მოვლენების ან სხვა საფუძვლით), გარდა გამოსაყენებელი სამართლით განსაზღვრული შემთხვევებისა. „კომპანია“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას ან ვარაუდს და არ იძლევა რაიმე გარანტიას, რომ სამომავლო განცხადებებით ნავარაუდები შედეგები მიღწეულ იქნება, და ამგვარი სამომავლო განცხადებები, თითოეულ შემთხვევაში, წარმოადგენს რამდენიმე მოსალოდნელი სცენარიდან ერთ-ერთს და არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ყველაზე მეტად მოსალოდნელი ან სტანდარტული სცენარი. წინამდებარე გამაფრთხილებელი განცხადებები ეხება „კომპანიის“ ან „კომპანიის“ სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ გაკეთებულ ყველა სამომავლო განცხადებას და ასევე წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემულ, მესამე პირების მიერ გაკეთებულ ნებისმიერ პროგნოზს.

მესამე პირების ინფორმაცია

„*რისკ-ფაქტორებში*“ და „ემისიის პროსპექტის“ სხვა ნაწილებში მოცემული სტატისტიკური მონაცემები, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოპოვებულ იქნა „სებ”-დან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან („**ფინანსთა სამინისტრო**”) და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან („**საქსტატი**“). აღნიშნული წყაროების მიერ დაცული სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ლარში (საქართველოს ეროვნული ვალუტა) ან აშშ დოლარში. ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მოცემულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში, კონვერტირებულია ლარში, „ემისიის პროსპექტში“ მითითებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. მსგავსი სტატისტიკური მონაცემები შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვა წყაროებიდან, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული წყაროს მიერ გამოყენებული მეთოდები, დაშვებები და მიღებული შედეგები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მართალია, ყველა ზომა მიღებულ იქნა იმისათვის, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ყოფილიყო ყველაზე სანდო და თანმიმდევრული მონაცემები, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მსგავსი მონაცემები შედგენილ იქნა და მომზადდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

„კომპანიის“ მიერ „სებ”-დან, „ფინანსთა სამინისტროდან“, „საქსტატიდან“ და სხვა წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია ზუსტად იქნა ასახული „ემისიის პროსპექტში“ და „კომპანია“ აცხადებს, რომ, მისი ინფორმაციით და ამგვარი წყაროების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „ემისიის პროსპექტში“ არ იქნა გამოტოვებული ისეთი ფაქტები, რაც გამოიწვევდა ასახული ინფორმაციის უზუსტობას ან უსწორობას. „ემისიის პროსპექტში“ მესამე პირის ინფორმაციის გამოყენებისას, ამგვარი ინფორმაციის წყარო იდენტიფიცირებულ იქნა.

გაცვლითი კურსის ისტორია

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ლარის გაცვლითი კურსის ისტორიას აშშ დოლართან მიმართებით, ცხრილში მითითებული პერიოდებისათვის, „სებ"-ის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად.

ლარის გაცვლითი კურსის ისტორია აშშ დოლართან მიმართებით

	მაღალი	დაბალი	საშუალო	პერიოდის დასასრული
	(ლარის კურსი 1.00 აშშ დოლართან მიმართებით)			
წელი				
2013.....	1.7376	1.6348	1.6634	1.7363
2014.....	1.9527	1.7241	1.7659	1.8636
2015.....	2.4499	1.8780	2.2702	2.3949
2016.....	2.7846	2.1272	2.3667	2.6468
2017 (30 ივნისი).....	2.7674	2.4062	2.5921	2.4072

წყარო: „სებ"

ზემოთ მოცემულ ცხრილში მითითებული კურსები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ფაქტობრივი კურსებისგან, რომლებიც გამოყენებულ იქნა „ემისიის პროსპექტში" წარმოდგენილი ინფორმაციის მოსამზადებლად. აღნიშნული გაცვლითი კურსების მითითება არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ლარში მოცემული თანხების კონვერტირება აშშ დოლარში მოხდა ან შესაძლებელია მომხდარიყო ამ კურსების ან ნებისმიერი სხვა კურსის შესაბამისად.

კომპანიის მიმოხილვა და ისტორია

სს „ნიკორა ტრეიდი“ ამჟამად არის საქართველოს საცალო-სასურსათო ბაზრის ლიდერი. იგი 2006 წელს დაარსდა როგორც სს „ნიკორა“-ს ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ წარმოებული და იმპორტირებული პროდუქციის სარეალიზაციო ქსელი. 2010 წელს „კომპანიამ“ შეიძინა სუპერმარკეტების ქსელი „მასივი“ და დაიწყო საკუთარი მაღაზიების სუპერმარკეტის ფორმატზე გადაყვანა. 2011-2013 წლებში ხდებოდა ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია თბილისსა და რეგიონებში. 2014 წელს „კომპანიამ“ შეიძინა ქსელები „საწდეი“, „კი ბატონო“ და „ჰომმარტი“, ხოლო 2015 წელს კი - „ნუგეში“ და “ლიბრე“.

2016 წელს „კომპანიამ“ გამოუშვა და საფინანსო ბაზარზე წარმატებით განათავსა 5.000.000 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების კუპონური ობლიგაციები.

2017 წლის ივლისში განხორციელდა „კომპანიის“ რეორგანიზაცია სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის გზით.

ამჟამად, „კომპანია“ 211 მაღაზიას ფლობს მთელი საქართველოს მასშტაბით და 10,000-მდე სახეობის პროდუქციას ყიდის. იგი წარმოადგენს ყველაზე მსხვილ და დინამიურად განვითარებად სუპერმარკეტების ქსელს ქვეყანაში.

სს ნიკორა ტრეიდი არის Nikora Holding Group-ის წევრი.



სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორას“

თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტურობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს ღებულობს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

ჯგუფის ბიზნესი პირობითად ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს: საკვების წარმოება, რომელიც მოიცავს ხორცის, ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, გამომცხვარი პროდუქციის და ღვინის წარმოებას. საკვების წარმოებაში მონაწილეობენ ნიკორა, ნიკორა 7, მზარეული 1, ჩვენი ფერმერი, კულინარი, აგია, ოკეანე და ნაფარეულის ძველი მარანი; საცალო ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება ნიკორა ტრეიდის მეშვეობით; დისტრიბუცია, რომელსაც ახორციელებენ პარტნიორი, ნიკორა კახეთი და ნიკორა 7; პროდუქციის და საწარმოო მასალებით იმპორტს ინტრეიდი და მულტიტრეიდი ახორციელებენ.



შპს „ნიკორა“ – კომპანია აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს, დელიკატესს, შებოლილ ქათამსა და ნეკნებს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. დღესდღეობით კომპანია აწარმოებს 50 სახეობის გაყინულ პროდუქტს. ბრენდის ასორტიმენტი მოიცავს როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ რუსულ და ევროპულ კერძებს.

შპს „ნიკორა 7“ - შპს ნიკორას მსგავსად წარმოადგენს ხორცპროდუქტების და ნახევარფაბრიკატების საწარმოს დასავლეთ საქართველოში..

შპს „ინტრეიდი“ – კომპანია ევროპის ქვეყნებიდან მაღალი ხარისხის ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების იმპორტს აწარმოებს. “ როგორიცაა: „ჯუსი“, „პფანერი“, „პალმა“, „ენერგია“, Lowenbrau, Spaten, Franziskaner, Warsteiner, ჩეხური წარმოების ლუდები.

შპს „მულტი ტრეიდი“ – კომპანია ახორციელებს წედლეულის იმპორტს ხორცპროდუქტების წარმოებისთვის, როგორც გარე ბაზარზე გასაყიდად, ასევე შპს „ნიკორასთვის“ და შპს „ნიკორა 7“-თვის.

შპს „მზარეული 1“ - პურ-ფუნთუშეულის, გაყინული ნამცხვრების წარმოება. საწარმოში დამონტაჟებულია თანამედროვე დანადგარები, რაც პროდუქციის ევროპული სტანდარტების სრული დაცვით წარმოებას უზრუნველყოფს.

შპს „ჩვენი ფერმერი“ - კომპანია რამდენიმე სახის რძის პროდუქტს და ნაყინს აწარმოებს. რძის პროდუქტები ბაზარზე “დღის პროდუქტის“ სავაჭრო ნიშნით გამოდის, ხოლო ნაყინი „პალომა“-ს სახელით.

შპს „კულინარი“ – აწარმოებს სალათებს და სხვადასხვა მზა საკვებს, რომლებიც იყიდება „ნიკორა ტრეიდის“ სუპერმარკეტის ქსელში.

შპს „ვაკიჯვრის კალმახი“ (ყოფილი „აგია“) – აქვს საკალმახე მეურნეობა და აწარმოებს კალმახის ხიზილალას „ოკეანის“ საფირმო სახელწოდებით.

შპს „ოკეანე“ – „ოკეანე“ აწარმოებს ზღვის პროდუქტებს. კომპანია წარმოებისას იყენებს როგორც ჰოლდინგში შემავალი კომპანიის საკალმახე მეურნეობიდან მიღებულ ნედლეულს, ასევე ახორციელებს იმპორტს ნორვეგიიდან, სადაც საუკეთესო კატეგორიის თევზი ბინადრობს. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახორციელებს ზღვის პროდუქტების და დელიკატესების იმპორტს. „ოკეანე“ ყიდის ცოცხალ, შეცივებულ, გაყინულ, მარილში გამოყვანილ, ნახევრად შებოლილ, დამარილებულ თევზეულს, ასევე თევზის სალათებს, პრესერვებს, კონსერვებს, ხიზილალას და ზღვის სხვა პროდუქტებს.

შპს „ნაფარეულის ძველი მარანი“ - აწარმოებს „ტევანის” სახელწოდების სამი სახეობის მშრალ ღვინოს ("კახური", “ევროპული” და "კახური მწვანე" - რომელიც დამზადებულია რქაწითელისა და კახური მწვანეს ყურძნის ჯიშებისგან) და ორი სახეობის წითელ ღვინოს ("საფერავი" და "კაბერნე").

შპს „პარტნიორი“ - ახდენს ჰოლდინგური ჯგუფის კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას გარე ქსელში.

შპს „ნიკორა კახეთი“ - ახდენს ჰოლდინგური ჯგუფის კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას გარე ქსელში კახეთის ტერიტორიაზე.

შპს „ნიკორა ბაკურიანი“ - ბაკურიანში მდებარე უძრავი ქონების მენეჯმენტი.

შპს „მილა საქართველო“ - სხვადასხვა დასახელების პროდუქციის იმპორტი.

შეთავაზების მიმოხილვა

კომპანია	სს „ნიკორა ტრეიდი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 206255808)
ინფორმაცია კომპანიის ფასიანი ქაღალდების შესახებ	სს „ნიკორა ტრეიდს“ გაცხადებული/ნებადართული აქვს 10 000 000 (ათი მილიონი) ცალი ჩვეულებრივი კლასის აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 2.18 ლარი 1 აქცია 1 ხმის უფლებით. განთავსებული ფასიანი ქაღალდების (ჩვეულებრივი კლასის აქციების) რაოდენობა შეადგენს 9 000 000 (ცხრა მილიონი) ცალ აქციას. 1 000 000 (ერთი მილიონი) აქცია არ არის განთავსებული და ირიცხება სს ნიკორა ტრეიდის საემისიო ანგარიშზე.
საჯარო შეთავაზებით გასაყიდი ფასიანი ქაღალდი	შეთავაზებული აქციები არის იგივე კლასის აქციები (ჩვეულებრივი კლასის აქცია ნომინალით 2,18 ლარი, 1 აქცია 1 ხმის უფლებით), რომლებიც უკვე განთავსებულია „კომპანიის“ მიერ.
აქციის ფორმა	არამატერიალიზირებული, ანუ აქციის რეგისტრირებულ მესაკუთრეებად მიიჩნევიან, რეგისტრატორის მიერ წარმოებულ ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში და ნომინალური მფლობელების ჩანაწერებში (სუბრეესტრებში) რეგისტრირებული აქციების მესაკუთრეები
საჯარო შეთავაზებით გასაყიდი აქციების რაოდენობა	სს ნიკორა ტრეიდის საემისიო ანგარიშზე არსებული არაუმეტეს 1.000.000 (ერთი მილიონი) ცალი ჩვეულებრივი კლასის აქცია.
ერთი აქციის გასაყიდი/განთავსები ღირებულება	არანაკლებ 2.18 (ორი ლარი და თვრამეტი თეთრი) ლარი (ნომიმალური ღირებულება). აქციები გაყიდვის/განთავსების ფასის ზედა ზღვარი არ არის დაწესებული, მაგრამ მენეჯმენტის შეფასებით 1 მლნ აქციის გაყიდვით კომპანია შეძლებს 16,8-დან 25 მლნ-მდე ლარის მოზიდვას.
შეთავაზების მონაწილეები	ნებისმიერი რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საქართველოს ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა არ უკრძალავს მსგავს შეთავაზებაში მონაწილეობის მიღებას.
აქციების შეთავაზების დაწყების თარიღი	„აქციების“ შეთავაზება დაიწყება ემისიის პროსპექტის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებისა დაგამოქვეყნების შემდეგ. „კომპანია“ გამოაქვეყნებს განაცხადს შეთავაზების დაწყების შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება შეთავაზების დაწყების თარიღი, „კომპანიის“ საბანკო რეკვიზიტები, შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. შეთავაზების განაცხადი გამოქვეყნდება ემიტენტის ვებ-გვერდზე: www.nikorasupermarket.ge ან/და ემიტენტის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით მიეწოდება დაინტერესებულ პირებს.
ხელმოწერის პროცედურა	მოცემულია ემისიის პროსპექტის თავში ,,ხელმოწერის პროცედურა“.
აქციების განთავსების დასრულება	2019 წლის 01 აპრილი.
გამოსაყენებელი სამართალი	საქართველოს კანონმდებლობა.
იურისდიქცია	„აქციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის, „კომპანიის“ წესდებისა და წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ განსაზღვრული წესების შესაბამისად.
მიღებული	ახალი აქციების ემისიის შედეგად მიღებული სახსრები მოხმარდება „კომპანიის“

სახსრების გამოყენება	გაფართოების გეგმების განხორციელებას, კერძოდ სუპერმარკეტების ქსელის შემდგომ ზრდას. იხილეთ *„მიღებული სახსრების გამოყენება“.*
გაყიდვის შეზღუდვები	„კომპანიამ“ განაცხადა თანხმობა, რომ ის „აქციების“ პირდაპირ ან არაპირდაპირ გაყიდვას ან შეთავაზებას და წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გავრცელებას განახორციელებს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. „კომპანიამ“ განაცხადა თანხმობა, რომ „აქციების“ შეთავაზება ან გაყიდვა არ განხორციელდება საქართველოს გარდა სხვა სახელმწიფოში.
რისკ-ფაქტორები	პოტენციურმა ინვესტორებმა, „აქციებში“ ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ყურადღებით უნდა გაანალიზონ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაცია და, განსაკუთრებით, ის ინფორმაცია, რომელიც მოცემულია „რისკ-ფაქტორებში“.
ემიტენტის საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონში, მ. ქავთარაძის, №11 ელ. ფოსტა: info@nikoratrade.ge ტელ.: (+995 32) 2 73 00 03
რეგისტრატორის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი” („საქართველოს რეგისტრატორი”) მისამართი: მოსაშვილის ქუჩა 11, მე-7 სართული, თბილისი, საქართველო ელ. ფოსტა: info@usr.ge ტელ.: (+995) 599 158 806;
ფასიანი ქაღალდების კოდები (ISIN)	ფასიანი ქაღალდის კოდის მინიჭება მოხდება „სებ”-ის მიერ, წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ.

რისკ-ფაქტორები

„აქციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. პოტენციურმა ინვესტორებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ წინამდებარე პროსპექტს და „აქციებში“ ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სხვა საკითხებს შორის, უნდა გაანალიზონ ამგვარი ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკი, ქვემოთ მოცემული რისკ-ფაქტორების ჩათვლით.

ამასთან, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც, „კომპანიის“ აზრით, მნიშვნელოვანია „აქციებთან“ დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასების მიზნით. „აქციების“ ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს ნებისმიერი ქვემოთ მოცემული რისკის გამო და პოტენციურმა ინვესტორებმა შესაძლებელია ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგონ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია. „კომპანიის“ აზრით, ქვემოთ აღწერილი რისკები წარმოადგენს „აქციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, თუმცა შესაძლებელია არსებობდეს დამატებითი რისკები და გაურკვეველი საკითხები, რომელსაც „კომპანია“ ამჟამად მიიჩნევს უმნიშვნელოდ ან არ გააჩნია მათ შესახებ ინფორმაცია, და ნებისმიერმა ასეთმა რისკმა ან გაურკვეველმა საკითხმა შესაძლებელია იქონიოს ქვემოთ აღწერილი რისკების მსგავსი შედეგები.

ასევე, „აქციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საკითხებთან დაკავშირებით, ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩევლებთან და ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგენად.

„კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები

„კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

როგორც ქვემოთ მოცემული ბიზნეს-აღწერილობიდან დასტურდება, ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ძალიან ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით და არსებული მოთამაშეების გასვლით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 10 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება, ახლადგამოჩენილი სავაჭრო ქსელების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადში მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარი მაღალ კონკურენტულია და რთულია დანამდვილებით თქმა, რომ კომპანია შეძლებს წარმატებით გაუწიოს კონკურენცია მის არსებულ და მომავალ კონკურენტებს

საცალო ვაჭრობის სფერო მაღალ კონკურენტულია. კომპანია კონკურენციას უწევს როგორც სხვადასხვა მასშტაბის მქონე ქართულ საცალო მოვაჭრეებს, ისე საერთაშორისო ოპერატორებს.

კომპანიის კონკურენტების აქტიურობამ და ცვლილებებმა მათ საოპერაციო და სხვა ბიზნეს სტრატეგიებში, ფასებმა, მომსახურების გაუმჯობესებამ, ახალი კონკურენტების გამოჩენამ ბაზარზე ან კონკურენტული ახალი ბრენდების შემოსვლამ შესაძლოა შეამციროს კომპანიის შემოსავლები გაყიდვებიდან, გაზარდოს მიმდინარე ხარჯები და/ან შეამციროს მოგების მარჟა. თუ კომპანია ვერ შეძლებს მომხმარებლისთვის პროდუქტების შეთავაზებას კონკურენტულ ფასად, თუ მომხმარებლები არ დაკმაყოფილდებიან ნიკორა ტრეიდის პროდუქტის არჩევანით, ან თუ კომპანიის საკუთარი მარკის საქონელი არ იქნება კონკურენტუნარიანი, კომპანიის კლიენტებმა შესაძლოა შეამციროონ ან შეწყვიტონ მათი ყიდვა კონკურენტების სასარგებლოდ. ამ და სხვა

ფაქტორებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის შემოსავლების შემცირება გაყიდვებიდან, საბაზრო წილის დაკარგვა ან იძულებითი რეაგირება მისი კონკურენტების მიერ განხორციელებულ აგრესიულ საფასო პოლიტიკაზე, რაც გამოიწვევს არსებული მოგების მარჟის შემცირებას.

კომპანიის მიზანია ჰქონდეს მიმზიდველი ფასები, ასორტიმენტი და მაღაზიის ფორმატი, იმგვარად, რომ შეძლოს კონკურენციის გაწევა სხვადასხვა ბაზრებზე. კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს ბაზარს, სავაჭრო შესაძლებლობებს და კონკურენტების საქმიანობებს; თვალყურს ადევნებს მთელი რიგი ღონისძიებების შესრულებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომსახურების მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად; კომპანია მუდმივად აკვირდება მომხმარებლის აღქმებს საკუთარი და კონკურენტების შესახებ, იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში სწრაფი რეაგირება შეძლოს.

კომპანიას აქვს რისკები ახალი ან არსებული საცალო მაღაზიების გაფართოებასთან და განვითარებასთან დაკავშირებით

კომპანია სწრაფად გაიზარდა მას შემდეგ რაც საქმიანობა დაიწყო. მაღაზიათა ქსელი, რომელიც მოიცავდა 52 მაღაზიას 2010 წელს, ამჟამად მოიცავს 211 მაღაზიას.
სწრაფმა ზრდამ შესაძლოა მნიშვნელოვანი წნეხი შეუქმნას ხელმძღვანელობას და მათი ყურადღება შეასუსტოს ყოველდღიურ საოპერაციო საკითხებთან დაკავშირებით.
შესაძლოა შემცირდეს კომპანიის ეფექტურობა, წარმოიქმნას სირთულეები ოპეაციების დონეზე, გამოიწვიოს წყვეტა საწარმოო ციკლში (შესყიდვა, მომარაგება). უნდა აღინიშნოს, რომ ამ რისკების მართვაში კომპანიას დიდი გამოცდილება აქვს. 2015 წელს მოხდა ნუგეშის ქსელის შესყიდვა, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა ახალი მაღაზიების გახსნა. ყოველივე ამის შედეგად 2015 წელს სავაჭრო ობიექტების რაოდენობა 93-ით გაიზარდა, რაც 85%-იან ზრდას ნიშნავს. ახლადშეძენილი აქტივების ინტეგრაცია 2016 წელს წარმატებით დასრულდა, რაზეც მეტყველებს კომპანიის საოპერაციო შედეგების ზრდა, რომელიც აღმავალ ტრენდს ინარჩუნებს.

კომპანიას შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა

აღნიშნულმა შესაძლოა კომპანიას სირთულეები შეუქმნას რამდენიმე მიმართულებით. მაგ.: წყვეტა პროდუქციის მოწოდებაში, რომელიმე მომწოდებლის ბაზრიდან გასვლა. კომპანია აღნიშნულ რისკებს მართავს მომწოდებლების მაქსიმალური დივერსიფიკაციის გზით. უმსხვილესი მომწოდებლის წილი (ნიკორას ჯგუფში შემავალი კომპანიებისა) ნაკლებია 5%-ზე. გარდა ამისა პროდუქტების თითოეულ კატეგორიაში რამდენიმე მომწოდებელია, რომლებიც ერთმანეთის კონკურენტები არიან, შესაბამისად, რომელიმე მათგანის გასვლა ქსელიდან არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას კომპანიის საქმიანობაში, რადგან ასეთ მომწოდებელს მარტივად ანაცვლებს მისი კონკურენტი. ასევე შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანი პროდუქტების საკუთარი ძალებით იმპორტი.

კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს მარაგების გაუვარგისების რისკის წინაშე პროდუქციის ვადის გასვლის გამო.

ამჟამად, მარაგების ბალანსის მონიტორინგი ხორციელდება გაყიდვების განყოფილების მიერ, პროდუქტის ვიზუალური მდგომარეობის, ვადის გასვლის, თაროების მოწესრიგების და სხვა პირობების რეგულარული შემოწმების გზით. ასევე მაღაზიებში პროდუქციის განლაგების და რეალიზაციისას „FIFO" მეთოდის დაცვით, რაც გულისხმობს რიგითობის დაცვას და პირველ რიგში უფრო ადრე შეძენილი პროდუქტის განლაგებას და გაყიდვას. დაზიანებული და/ან ვადაგასული პროდუქტები უბრუნდება მომწოდებელს ან იგზავნება საწყობში გასანადგურებლად.

კომპანია მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ

ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. კომპანიას არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორიცაა საოჯახო და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს კომპანიისთვის წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მოთხოვნის გაწყობაში, რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

რყევები საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცვლილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი მოხმარების დონეზე. სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებამ საქართველოში ასევე შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტულ მომწოდებლებთან მოქმედი მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფასდაკლების პირობის შეუსრულებლობა, რომელიც საზიანო გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“.

„კომპანიას“ ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები, და, ამასთან, ფასების ზრდა ქართულ ლარში შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული (გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება). შედეგად, ვალდებულებების ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის ნებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზრო პოზიციის შენარჩუნებისკენ და აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

„კომპანიის“ ოპერირების სფერო არის განვითარებადი მარეგულირებელი კანონმდებლობის ობიექტი

რამდენადაც „კომპანია“ ძირითადად ოპერირებს საკვების საცალო გაყიდვის სექტორში, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა ყოველთვის იყო მგრძნობიარე საკითხი. 2004 წლის შემდეგ, „მთავრობის“ მიერ ბაზრის ფართო ლიბერალიზაციას მოჰყვა საკვები პროდუქტების ხარისხისა და მათი წარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარების ტენდენცია.

მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაძლებელია შეიცვალოს, რამდენადაც საქართველო, ევროკავშირის ბაზარზე სრული ინტეგრაციის მიზნით, ახორციელებს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) საფუძველზე. „კომპანიის“ მენეჯმენტის აზრით, საქართველომ, მსგავსი ჰარმონიზაციის ფარგლებში, მომავალში შესაძლოა მიიღოს ევროკავშირის საკვების უსაფრთხოების რეგულაციების ეკვივალენტური რეგულაციები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს „კომპანიის“ დანახარჯების ზრდა.

„კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავის ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას საჭირო სახსრების ან კვალიფიციური პერსონალის არარსებობის გამო, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანიას“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პროექტის დანახარჯების რესტრუქტურიზაცია და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

საქართველოში განვითარებულ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები

„კომპანიის“ ოპერაციები სრულად ხორციელდება საქართველოში და მისი შემოსავალი მთლიანად მიღებულია საქართველოში არსებული წყაროებიდან. შესაბამისად, „კომპანიის“ საერთო ფინანსური მდგომარეობა და მისი ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობებზე. ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი („მშპ“), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსები, ასევე უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, არსებითი გავლენა აქვს მომხმარებლების მოთხოვნაზე „კომპანიის“ მომსახურების მიმართ.

ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

ადრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა “მშპ”-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალების მაღალ დონეს „მშპ”-თან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონეს და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გაღარიბებას.

2008 და 2009 წლებში მომხდარი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ, რაც შედეგად გამოიწვია 2008 წლის კონფლიქტმა სამხრეთ ოსეთში და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა (რამაც შეაჩერა მთავრობის მიერ 2004 წელს განხორციელებული რამდენიმე ეკონომიკური რეფორმის შედეგად დაწყებული მაღალი ეკონომიკური ზრდა), საქართველოს ეკონომიკა ზრდას დაუბრუნდა მაშინ, როცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ოდენობამ 2010 წელს მიაღწია 814.5 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო 2011 წელს - 1,117.2 მილიონ აშშ დოლარს. ამასთან, “მშპ”-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა 2010 წელს მიაღწია 6.2%-ს, ხოლო 2011 წელს - 7.2%. 2012 წელს “მშპ”-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 6.4%, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ოდენობა შემცირდა 911.6 მილიონ დოლარამდე. 2013 წელს “მშპ”-ს რეალური ზრდის მაჩვენებელი შემცირდა 3.3%-მდე, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ოდენობა გაიზარდა 941.9 მილიონ აშშ დოლარამდე. 2014 წელს “მშპ”-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 4.6%, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო ფაქტობრივი ზრდით მშენებლობაში, ფინანსურ წარმომადგენლობაში, უძრავ

ქონებაში, სასტუმროებსა და რესტორნებში, და ასევე სავაჭრო და სატრანსპორტო სექტორებში. ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ოდენობა იმავე წელს გაიზარდა 1,758.4 მილიონ აშშ დოლარამდე, რაც უმთავრესად გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოდინებამ ნიდერლანდებიდან, აზერბაიჯანიდან, ჩინეთიდან და შეერთებული შტატებიდან. 2015 წელს "მშპ"-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 2.8%. ამავე წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ოდენობა შემცირდა 23.2%-ით, რაც ძირითადად გამოწვეული იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემცირებით ევროკავშირის ქვეყნებიდან (კერძოდ, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი), ჩინეთიდან და შეერთებული შტატებიდან. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი საქართველოში მცირდება ბოლო წლების განმავლობაში და არ არსებობს იმის გარანტია, რომ ეკონომიკური ზრდა დაუბრუნდება ძველ მაჩვენებლებს ან შეინარჩუნებს დადებით მაჩვენებელს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2010 წელს საქართველოს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტმა შეადგინა ნომინალური "მშპ"-ს 10.3%, 2011 წელს - 11.7%, 2012 წელს - 11.5%, ხოლო 2013 წელს - 6.5%. „სებ"-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 2014 წელს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი გაიზარდა 87.7%-ით, სავაჭრო დეფიციტის ზრდის შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ პარალელურად არ მოხდება წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ოდენობის მატება, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტის აღნიშნულმა ან შემდგომმა ზრდამ შესაძლებელია გამოიწვიოს მთავრობის მიერ მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტის დასაფინანსებლად აღებული სესხების ოდენობების გაზრდა, ლარის კურსის მატება ან იმპორტის შემცირება, რამაც შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა არის საკმაოდ დოლარიზებული. დოლარიზაციის მაჩვენებელმა არასაბანკო დეპოზიტებისათვის 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 59.9%, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 64.1%, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 59.9%, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 60.2%, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 69.5%, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 71.4%. მიუხედავად იმისა, რომ „სებ"-იმ მიიღო ზომები საქართველოს სავალუტო ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად, დოლარიზაციის მაჩვენებელმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „სებ"-ის სავალუტო და გაცვლითი კურსების პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობაზე.

საქართველოს ეკონომიკაზე ასევე გავლენა მოახდინა რამდენიმე გარე ფაქტორმა, მათ შორის, რუსეთ-უკრაინის კრიზისმა, ეკონომიკის ვარდნამ რუსეთში და ვალუტის გაუფასურებამ პარტნიორ ქვეყნებში (რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ჩათვლით). აღნიშნული ფაქტორების შედეგად შემცირდა საქართველოდან ექსპორტის ოდენობა, რამაც გამოიწვია უცხოეთიდან მიღებული შემოსავლის ნაკლებობა და, აშშ დოლარის კურსის გამყარების გათვალისწინებით, 2015 წელს ლარის 29.0%-ით გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებით. იმ დროს, როცა არსებული გაუფასურება დაეხმარა საქართველოს ეკონომიკას ამგვარ გარე ფაქტორებთან ადაპტაციაში, აღნიშნულმა დაამძიმა იმ მსესხებლების მდგომარეობა, რომლებსაც სესხები აღებული ჰქონდათ აშშ დოლარში, და გაზარდა მოთხოვნა ლარში დენომინირებულ სესხებზე. გარდა ამისა, „საქსტატის" მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა, რომელიც გაიზომა სამომხმარებლო ფასის ინდექსის საფუძველზე, 2010 წელს მიაღწია 11.2%-ს, 2011 წელს - 2.0%-ს, 2012 წელს - 1.4%-ს, 2013 წელს - 2.4%-ს, 2014 წელს - 2.0%, 2015 წელს - 4.9%-ს, ხოლო 2016 წელს - 1.8%. მაღალმა და უწყვეტმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისი, მომხმარებლის ყიდვაუნარიანობის და თვითდაჯერებულობის შემცირება. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველო თავს გაართმევს არსებულ გარე ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მის ეკონომიკაზე.

ნებისმიერმა ცვლილებამ სავალუტო პოლიტიკაში, აშშ დოლართან ან ევროსთან ლარის შემდგომმა გაუფასურებამ, ინფლაციის განგრძობადმა ზრდამ ან სხვა ნეგატიურმა, მათ შორის, გარე ფაქტორებმა, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის" ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „აქციების" სავაჭრო ფასზე.

შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ვაჭრობის და კონკრეტული სექტორების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO”-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე და გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი..

ასევე, შესაძლებელია სხვა ცვლილებები განხორციელდეს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის, ცვლილებები შეიძლება შეეხოს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა, „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მოხდეს მათი რესურსების გადახრა მიმდინარე რეფორმებიდან და შეამციროს ამ ორგანოების ეფექტურობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. მაგალითად, „კომპანიამ“, შრომის კოდექსში ზემოთ მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, შეიტანა ცვლილებები თავის შრომით ხელშეკრულებებში. ცვლილებები მოსალოდნელია საკვების უსაფრთხოების რეგულაციებშიც. „კომპანია“ ვარაუდობს, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.

საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული გაურკვევლობა.

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. რამდენიმე ფუნდამენტური სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი, საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული კანონი ახლახანს შევიდა ძალაში. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხთან და აღსრულებადობასთან მიმართებით, და ასევე გამოიწვია გაუგებრობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ

დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ჯარიმები, გაყინული საბანკო ანგარიშები და უარი დამტკიცებაზე.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა არის დაუკომპლექტებელი და განიცდის მნიშვნელოვან რეფორმას. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისადმი წდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა ქვეყნებთან შედარებით (კერძოდ, ევროპა და შეერთებული შტატები), საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. გადახდისუუნარობის სამართალი და სასამართლო პრაქტიკა შედარებით მწირია, რაც ქმნის დამატებით გაურკვევლობებს კრედიტორებისათვის. სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და მასზე ეკონომიკური, პოლიტიკური და ნაციონალისტური ზეგავლენის არარსებობა არ არის შემოწმებული. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს სავალდებულო ძალა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები რჩებიან საკანონმდებლო ხელისუფლების მოწყალების იმედად. გაურკვევლობებმა საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

საქართველოს საგადასახდო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახადო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით, დიდი ხანი არ არის რაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ძალაში შევიდა. აღნიშნული წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები არის გაუგებარი და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია და, შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახდო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები.

სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანოებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც ქმნის გაურკვევლობასა და გაუგებრობას მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი იძლევა საგადასახადო ორგანოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, გადასახადის გადამხდელების მიერ დაყენებული საგადასახადო საკითხების წინასწარ გადაწყვეტის მიზნით. მართალია, „კომპანია“ თვლის, რომ მის მიერ ამჟამად სრულად ხორციელდება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიაზე გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან

„კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

„აქციებთან“ დაკავშირებული რისკები

„აქციების“ სავაჭრო ფასი და ლიკვიდურობა შეიძლება იყოს ცვალებადი.

„აქციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „აქციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „აქციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „აქციებით“ ვაჭრობა მოხდება მათი საწყისი გამოშვების შემდგომ, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულია მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „აქციების“ სავაჭრო ფასზე.

განზავების რისკი

იმ, შემთხვევაში, თუ აქციების დამატებითი ემიისას აქციონერებს არ ექნებათ უპირატესი შესყიდვის უფლება, ისინი შესაძლოა აღმოჩნდნენ განზავების რისკის წინაშე, რაც გულისხმობს დამატებითი ემისიის შედეგად ახალი ინვესტორების შემოსვლას კომპანიაში და არსებული აქციონერების წილის შემცირებას. კომპანიის წესდების თანახმად, ახალი აქციების გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აქციონერს საკუთარი წილის პროპორციულად, აქვს ახალი აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება. ეს უფლება შესაძლებელია გაუქმდეს კანონით დადგენილ შემთხვევებში. აქედან გამომდინარე აქციონერის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობის შემთხვევაში, დაცული იქნება ინვესტორის რისკი, შეუმცირდეს წილი საზოგადოების კაპიტალში. ემიტენტის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ ამ შეთავაზებით გათვალისწინებულ 1 000 000 (ერთი მილიონ) ცალ აქციაზე არსებულ აქციონერებს არ აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება. ზემოთაღნიშნული უნდა გაითვალისწინოს ინვესტორმა საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას.

სამომავლო დივიდენდებთან დაკავშირებული რისკები

ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მომავალში აქციებიდან დივიდენდების მიღების შესაძლებლობა დამოკიდებული იქნება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და აქციონერთა პოლიტიკაზე დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით.

ინვესტიციის კანონიერების დადგენა

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩევლებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენენ „აქციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „აქციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საგნად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩევლებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „აქციებთან“ სათანადო მოპყრობის რეჟიმი, რისკზე-დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა არის საინვესტიციო კანონმდებლობის ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციების საგანი, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „აქციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „აქციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე.

კაპიტალიზაცია და დავალიანება

შემდგომ ცხრილში მოცემულია „კომპანიის“ კაპიტალიზაცია 2016 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობებით, რომელიც მიღებულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგებიდან. ეს ცხრილი წაკითხულ უნდა იქნას ამ „ემისიის პროსპექტში“ მოცემულ „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებთან ერთობლიობაში.

	31-Dec-16	30-Jun-17	
	ფაქტიური მონაცემები		აქციების განთავსების შემდეგ
(ათასი ლარი)	აუდირებული	არააუდირებული	
ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტებისგან აღებული სესხები და ვალები	27,485	25,054	25,054
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	13,234	12,408	12,408
სულ სესხები და ვალები	40,719	37,462	37,462
საქციო კაპიტალი	19,597	19,597	21,777
საემისიო კაპიტალი	-	-	14,620
გადაფასების რეზერვი	320	320	320
გაუნაწილებელი მოგება	(14,509)	(11,579)	(11,579)
მფლობელების საკუთარი კაპიტალი	5,408	8,338	25,138
არა-მაკონტროლებელი წილი	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	5,408	8,338	25,138
სრული კაპიტალიზაცია (სესხები და საკუთარი კაპიტალი)	46,127	45,800	62,600

აქციების განთავსების შედეგად მიღებული თანხა მთლიანად იქნება ქსელის განვითარებისთვის. დეტალები იხილეთ ამ ტექსტის თავში „მიღებული სახსრების გამოყენება“.

2017 წლის 30 ივნისის შემდეგ „კომპანიის“ კაპიტალიზაციაში მომხდარი ცვლილებები მოცემული ემისიის პროსპექტის თავში *„უახლესი პერიოდის მონაცემები“*.

მიღებული სახსრების გამოყენება

დღეისთვის „კომპანია“ წარმოადგენს დარგის ლიდერს სავაჭრო ობიექტების რაოდენობის და გეოგრაფიული განშლის მიხედვით. აქციების ემისიიდან მიღებული სახსრები მოხმარდება სავაჭრო ქსელის განვითარებას, ახალი ობიექტების გახსნა იგეგმება, სავაჭრო ობიექტების კონცენტრაციის გაზრდა როგორც ათვისებულ ლოკაციებში, ასევე ისეთ ადგილებში სადაც ქსელი ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად „კომპანიას“ მიეცემა საშუალება სწრაფი ტემპებით შექმნას გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი, გაიმყაროს დარგის ლიდერის პოზიციები, გაზარდოს ბაზრის წილი და გახდეს უფრო ეფექტური.

მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია შეძლებს 1 მლნ ჩვეულებრივი კლასის აქციის განთავსების გზით 16.8-დან 25 მლნ-მდე მილიონამდე ლარის მოზიდვას. მოზიდული სახსრები სრულად მოხმარდება ქსელის გაფართოების და აღნიშნული გაფართოებისთვის საჭირო მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის დაფინანსებას. სავაჭრო ობიექტების ზრდით კომპანია აპირებს საბაზრო წილის გაზრდას, რაც თავის მხრივ გააძლიერებს მის პოზიციებს კონტრაგენტებთან და გაიუმჯობესებს კომერციულ პირობებს. აღნიშნული კი უზრუნველყოფს დამატებითი სახსრების გენერაციას, რაც ასევე ქსელის აქტიურ ზრდას მოხმარდება.

კომპანიის გეგმები და დაგეგმილი ფინანსური მაჩვენებლები მომდევნო წლებში.

კაპიტალური ხარჯების გეგმა:

	2018	2019	2020	2021
კაპიტალური ხარჯები (ათასი ლარი)	(39,967)	(41,038)	(76,459)	(2,400)

ბიზნეს მოდელი და ძირითადი დაშვებები:

პროგნოზის შედგენისას საწყის წერტილად აღებულია კომპანიის არსებული ფინანსური მდგომარეობა და მოზიდული სასხსრების არსებული სტრუქტურა.

გაყიდვები:

გაყიდვების დაგეგმვა გაყოფილია 2 ნაწილად: არსებული მაღაზიების პროგნოზი და ახალი მაღაზიების (მომავალში გასახსნელი მაღაზიების) პროგნოზი არსებული მაღაზიების ნაწილში ამოსავალ წერტილად აღებულია მისი ისტორიული ნავაჭრები და დაწყებული 2018 წლით დაგეგმილია ყოველ წელს 5%-იანი ზრდა ახალი მაღაზიების ნაწილში ამოსავალ წერტილად აღებულია სავაჭრო ფართი და 1 კვ.მ.-ზე ნავაჭრი. თავის მხრივ 1 კვ.მ.-ზე ნავაჭრი იზრდება წლიური 5 %-ით (დაწყებული 2018 წლით). ბიზნეს მოდელში გათვალისწინებულია საშუალოდ 250 კვ.მ.-იანი (სავაჭრო ფართი) მაღაზიების გახსნა. თუმცა აქცენტი მაინც სავაჭრო სივრცეზე კეთდება და შესაძლებელია გაიხსნას უფრო დიდი ფომრატის მაღაზიებიც, შესაბამისად დაგეგმილი რაოდენობა შემცირდება.

	2017	2018	2019	2020	2021
დაგეგმილი ნავაჭრები 1 კვ.მ.ზე (დღგ-ს ჩათვლით)	7,753	8,140	8,547	8,975	9,423
ნაზრდი		5%	5%	5%	5%

უნდა აღინიშნოს, რომ 1 კვ.მ.-ზე დაგეგმილი მაჩვენებლები საკმაოდ კონსერვატიულია, რადგან მიმდინარე მაჩვენებლები მას მნიშვნელოვნად აღემატება. 2017 წლის 7 თვის მონაცემებით, 200 კვ.მ.-ზე მეტი სავაჭრო ფართის მქონე მაღაზიების დღიური ნავაჭრი 1 კვადრატულ მეტრზე შეადგენს 28 ლარს, 2018 წელს კი იგივე მაჩვენებელი 22.3 ლარია დაგეგმილი, რაც არსებულის 80%-ია.

საერთო მოგების მარჟა:

2016 და 2017 წლის განმავლობაში საერთო მოგების მარჟა სტაბლურად იზრდება. 2016 წელს 23.8% შეადგინა, რაც 1.07%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. 2017 წლის 7 თვის მდგომარეობით საერთო მოგების მარჟა 24.6%-ია. 2017 წლის დაგეგმილი მაჩვენებელი 24.8%-ს შეადგენს, ბოლო თვეების მარჟა უკვე აღემატება დაგეგმილს, აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ 2017 წლის მარჟა დაგეგმილს გადააჭარბებს.

დაგეგმილი მონაცემები	2017	2018	2019	2020	2021
საერთო მოგების მარჟა	24.8%	25.1%	26.3%	27.5%	28.0%

გაყიდვები (მლნ ლარი)	2017	2018	2019	2020	2021
წმინდა გაყიდვები	267	402	635	973	1,278
რეტრო ბონუსები	16	21	33	51	66
თვითღირებულება	216	322	501	756	987
საერთო მოგება	66	101	167	268	358
საერთო მოგების მარჟა	24.8%	25.1%	26.3%	27.5%	28.0%
პერსონალის ანაზღაურება	20	32	51	78	102
კომუნალური ხარჯები	6	10	17	27	35
იჯარა და სხვა ხარჯები	26	39	60	92	120
სულ საოპერაციო ხარჯები	52	81	129	197	257
EBITDA	14	20	38	71	101
EBITDA მარჟა	5.3%	4.9%	6.1%	7.3%	7.9%
EBIT	9	10	21	42	64
EBIT მარჟა	3.3%	2.5%	3.3%	4.4%	5.0%
საპროცენტი ხარჯი	4	3	4	3	3
EBT	5	7	17	39	61
წმინდა მოგება/ზარალი	7	6	16	38	60
წმინდა მოგების მარჟა	2.6%	1.5%	2.6%	3.9%	4.7%

	2017	2018	2019	2020	2021
Current ratio	0.71	0.76	0.72	0.73	1.15
Quick ratio	0.30	0.33	0.27	0.28	0.70
Debt/equity	2.85	1.11	0.67	0.34	0.00
ROA	0.08	0.04	0.09	0.14	0.19
ROE	0.55	0.17	0.32	0.42	0.40
ICR	3.57	5.70	10.33	21.90	34.71
EPS		0.62	1.65	3.81	5.97
Sales per sq.m.	7,753	8,140	8,547	8,975	9,423

დაგეგმილ მაჩვენებლებზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ვალუტის კურსის მერყეობამ, ვინაიდან საოპერაციო ხარჯების ნაწილი (იჯარა) და საპროცენტო ხარჯების ნაწილი აშშ დოლარშია

დენომინირებული. ქვემოთ მოცემულია სტრეს სცენარები ვალუტის კურსის მერყეობის შემთხვევისთვის:

ვალუტის კურსის გავლენა დაგეგმილ წმინდა მოგებაზე (ცვლილება):

წმინდა მოგება / ზარალი (ათასებში)	2018	2019	2020	2021
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება	(4,008)	(3,823)	(3,619)	(1,213)
აშშ დოლარის 20%-იანი გამყარება	(8,017)	(7,646)	(7,237)	(2,427)
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება	4,008	3,823	3,619	1,213
აშშ დოლარის 20%-იანი გაუფასურება	8,017	7,646	7,237	2,427

ცალკე გამოვყოფთ ვალუტის კურსის გავლენას სასესხო ვალდებულებების საბალანსო ნაშთზე (ცვლილება):

გრძელვადიანი სესხები	2018	2019	2020	2021
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება	(2,745)	(2,572)	(2,383)	-
აშშ დოლარის 20%-იანი გამყარება	(5,490)	(5,144)	(4,766)	-
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება	2,745	2,572	2,383	-
აშშ დოლარის 20%-იანი გაუფასურება	5,490	5,144	4,766	-





	2017	2018	2019	2020	2021
Debt/EBITDA	2.58	2.00	0.91	0.44	0.00
მაღაზიების რაოდენობა (ჯამური)	213	333	455	684	684
ახალი მაღაზიები	14	120	122	229	-
სავაჭრო ფართი (ათასი კვ.მ.)	24	54	85	142	142
გაყიდვების ზრდა		50.7%	57.8%	53.3%	31.4%
EBITDA ზრდა		40.7%	93.7%	84.3%	42.7%

„კომპანიის“ საოპერაციო გარემოს და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

მაკროეკონომიკური სიტუაციის მიმოხილვა

საქართველოს გააჩნია ფართოდ დივერსიფიცირებული „მშპ“, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის მდგრად განვითარებას. რეალური „მშპ“ 2015 წელს 2.8%-ით გაიზარდა და $14 მილიარდს მიაღწია ($3,743 ერთ სულ მოსახლეზე), ხოლო „საქსტატის“ პირველადი მონაცემებით 2016 წელს რეალური ზრდა ოდნავ შემცირდა და 2.2% შეადგინა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში “მშპ”-ს საშუალო ზრდამ 4.9% შეადგინა. მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა მომავალ წლებშიც გააგრძელებს ზრდას. ქვეყნის სახელმწიფო ვალი დადებითად ვითარდება და ვალის შეფარდება მთლიან ეკონომიკასთან მიმართებით მცირდება 2003 წლიდან. ფისკალური კონსოლიდაციის შედეგად, სახელმწიფო ვალის შეფარდება „მშპ“-სთან 2010-2014 წლების პერიოდში შემცირდა 42%-დან 36%-მდე, თუმცა დოლართან მიმართებით ლარის გაუფასურების გამო ეს რიცხვი 45%-მდე გაიზარდა. მთავრობის სახელმწიფო ვალის პოლიტიკა მოიცავს შიდა ვალის წილის ზრდის მეშვეობით სავალუტო რისკების შემცირებას და შედეგად სახელმწიფო ვალის მდგრადობის გაუმჯობესებას. ამჟამად, შიდა ვალი მთლიანი ვალის 21%-ს შეადგენს. საგარეო ვალის უმეტესობა ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების შედეგადაა წარმოქმნილი და მთლიანობაში ხელსაყრელი გადახდის გრაფიკი გააჩნია. ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი „S&P“-ს მიხედვით არის BB-, ხოლო Moody’s მიხედვით - Ba3.

ფასების სტაბილურობის მისაღწევად „სებ“-ი ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს მისდევს. „სებ“-ის ინფლაციის სამიზნე ნიშნული 2017 წლისთვის არის 4%, ხოლო 2015-2016 წლებში 5% იყო. 2017 წლის იანვარში წლიურმა ინფლაციამ 3.9% შეადგინა, რაც მცირედით ჩამორჩებოდა სამიზნე დონეს. შედარებით მცირე ინფლაცია მსოფლიოში ენერგომატარებლების და სურსათის ფასის შემცირებით არის გამოწვეული.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გატარებულმა წარმატებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ბიზნეს-გარემო საქართველოში. 2015 წელს მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველო 24-ე ადგილზე გავიდა ბიზნესის სიმარტივით, ხოლო „Heritage Foundation“-ის შეფასებით საქართველო 23-ე ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა იყო. საქართველოს საინვესტიციო გარემო მიმზიდველს ხდის მას საერთაშორისო ინვესტორებისთვის. 2014 წელს მიღებულ იქნა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, ხოლო სხვადასხვა ქვეყნებთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები ხელს უწყობს ინვესტიციების შემოდინებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება დადებითია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული. 2015 წელს ინვესტიციებმა $1.5 მილიარდი შეადგინეს, ხოლო 2016 წლის 9 თვეში - $1.3 მილიარდი (4.9%-ით მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით). საქართველოს არ გააჩნია შეზღუდვები კაპიტალის მოძრაობაზე და აქვს საგადასახადო შეღავათები, რომლებიც ხელს უწყობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.





ბოლო პერიოდის ეკონომიკური განვითარებები

მთავრობის ინიცირებული საგადასახადო რეფორმა ძალაში 2017 წლის 1 იანვარს შევიდა. რეფორმის ფარგლებში ქვეყნის საგადასახადო სტრუქტურა უახლოვდება ე.წ. „ესტონურ მოდელს“,

რომლის ფარგლებშიც კომპანიების მოგება მხოლოდ დივიდენდების სახით განაწილებისას დაიბეგრება. მოსალოდნელია, რომ რეფორმა შეამსუბუქებს საგადასახადო წნეხს, წაახალისებს ინვესტიციებს და გაამარტივებს საგადასახადო შესაბამისობას.

რეგიონალური დაძაბულობების მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ შეინარჩუნა მდგრადობა და, შემცირებული ტემპების მიუხედავად, 2016 წელს განაგრძო ზრდა. წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში "მშპ"-ს რეალურმა ზრდამ შეადგინა შესაბამისად 2.7%, 3.0% და 2.3%. სექტორების მიხედვით ყველაზე დიდი ზრდა იყო მშენებლობის (+11.1% წ/წ), წარმოების (+4.8% წ/წ), უძრავი ქონების (+6.6% წ/წ) და ტურიზმის (+12.0% წ/წ) სექტორებში, ხოლო კომუნიკაციების სექტორი 1.5%-ით შემცირდა. პირველადი მონაცემებით, IV კვარტალში ზრდა შენელდა, რეგიონში შენარჩუნებული გაურკვეველი პერსპექტივის გამო.

2016 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში ქვეყანაში დაბალი ინფლაციის დონე იყო, ხოლო 2017 წლის იანვარში წლიურმა ინფლაციამ 3.9%-ს მიაღწია, რაც უმეტესწილად გამოწვეული იყო აქციზის ზრდით ავტომობილებზე, საწვავზე, ალკოჰოლსა და თამბაქოზე. სწრაფმა ცვლილებამ „სებ"-ის პოლიტიკის შეცვლა გამოიწვია. „სებ"-მა წინა კვარტლების განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად 8.0%-დან 6.5%-მდე ჩამოიყვანა, ხოლო 2017 წლის იანვარში განაკვეთი 0.25%-ით გაზარდა და II კვარტალში კვლავ მოელის მსგავს ზრდას.

მიმდინარე ანგარიშების ძირითადი მახასიათებლები დადებითად განვითარდა 2016 წელს. ექსპორტის ორწლიანი კლება შეჩერდა და IV კვარტალში 7.5%-ით გაიზარდა. ფეროშენადნობები (+35.7% წ/წ), ღვინოები (+29.5% წ/წ) და სხვა ალკოჰოლური სასმელები (+47.6% წ/წ) ზრდის ძირითად წყაროს წარმოადგენენ. უკრაინა-რუსეთის კონფლიქტის შენელებასთან ერთად საქართველოს ექსპორტი „დსთ"-ს ქვეყნებში 16.3%-ით გაიზარდა. ექსპორტი ევროპაში 4%-ით გაიზარდა. საქართველომ წარმატებით გაზარდა ექსპორტი სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, ჩინეთში (35%), ირანში (30%) და სპარსეთის ყურის ქვეყნებში. IV კვარტალში იმპორტი 6.3%-ით გაიზარდა უმეტესწილად კაპიტალური საქონლის (+7%) და სატრანსპორტო საქონლის (+17%) ხარჯზე. ნავთობის ფასების ზრდამ უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე და ნავთობპროდუქტების იმპორტი 15%-ით გაიზარდა. მთლიანობაში 2016 წლის სავაჭრო ბალანსი 5.8%-ით გაუარესდა.

დადებითი დინამიკა იყო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავალში, რამაც ნაწილობრივ შეამსუბუქა გაზრდილი იმპორტების ზეგავლენა. IV კვარტალში ვიზიტორთა მთლიანი რაოდენობა გაიზარდა 5%-ით, ხოლო ტურისტთა რაოდენობა - 18.6%-ით. 2016 წლის განმავლობაში საქართველოში 6.4 მილიონი ვიზიტორი შემოვიდა და მათგან მიღებულმა შემოსავალმა $2.1 მილიარდი შეადგინა.

ფულადი გზავნილები განაგრძობს მნიშვნელოვანი როლის თამაშს ქართულ ეკონომიკაში. 2016 წელს ფულადი გზავნილები 15.2%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ზრდის მთავარი მამოძრავებლები იყვნენ ისრაელი (+88.6%), აშშ (+32.8%), თურქეთი (+62.7%), იტალია (+11.4%) და საბერძნეთი (+20.5%). გზავნილები რუსეთიდან 1.6%-ით გაიზარდა.

თურქული ლირას მკვეთრმა გაუფასურებამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია ლარზე. 2016 წელს ქართული ვალუტა 10.5%-ით გაუფასურდა დოლართან მიმართებით, ხოლო IV კვარტალში - 12.3%-ით. კურსმა 2.78-ს მიაღწია და შემდგომ 2.70-ის ნიშნულზე დასტაბილურდა.

ფისკალური დეფიციტი მთლიანობაში საგარეო წყაროებიდან დაფინანსდა და 2016 წელს შეადგინა 4%. 2017 წელს მოსალოდნელია დეფიციტის 4.2%-მდე გაზრდა, რაც სამიზნე 3%-ზე მეტია. ამავდროულად, სახელმწიფო ვალი "მშპ"-ს 45%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია კანონმდებლობით დაწესებულ 60%-იან ლიმიტზე. გაზრდილი დეფიციტი უმეტესწილად გამოწვეულია მთავრობის ინფრასტრუქტურული პროგრამის ფარგლებში გასაწევი კაპიტალური დანახარჯებით. მიმდინარე რეფორმების ფარგლებში იგეგმება ქვეყანაში ტრანსპორტირების დანახარჯების შემცირება და საქართველოს რეგიონალურ ლოგისტიკურ ჰაბად გადაქცევა.

საქართველოს თანმიმდევრულმა სურვილმა მოახდინოს ბიზნეს-გარემოს მოდერნიზება საერთაშორისო აღიარება მოიპოვა: 2017 წელს მსოფლიო ბანკის ბიზნესის სიმარტივის ინდექსში საქართველომ მე-16 ადგილი დაიკავა (2015 წელს 24-ე ადგილი), მათ შორის, მესამე აღმოსავლეთ

ევროპაში, და შევიდა 10 საუკეთესო განვითარებად ქვეყანაში. საქართველომ, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადებით, თავისუფალი ვაჭრობის სფეროში თანამშრომლობა გააფართოვა ლიხტენშტაინთან, ნორვეგიასა და შვეიცარიასთან. ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია საკანონმდებლო გარემოს ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში, რაც გზას უხსნის ადგილობრივი პროდუქციის ევროპაში ექსპორტს.

ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები

2016 წელს ქვეყნის მოსახლეობამ 3.7 მილიონი ადამიანი შეადგინა, რაც თითქმის უცვლელია წინა წლის მონაცემებთან შედარებით. თბილისში 1.1 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რაც მთლიანი მოსახელობის 30%-ს შეადგენს. ქვეყნის მოსახელობის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს. შემდგომი ცხრილი აჩვენებს მოსახელობის რაოდენობას რეგიონების მიხედვით:

(ათასებში)	2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	
თბილისი	1,113	29.9%
აჭარა	337	9.1%
გურია	113	3.0%
იმერეთი	533	14.3%
კახეთი	318	8.6%
მცხეთა-მთიანეთი	94	2.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32	0.8%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	330	8.9%
სამცხე-ჯავახეთი	161	4.3%
ქვემო ქართლი	426	11.5%
შიდა ქართლი	264	7.1%
სულ	3,720	100.0%

საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მიმოხილვა[1]

საცალო ვაჭრობის დონემ საქართველოში (ავტომობილების და მოტოციკლეტების გარდა) 2015 წელს შეადგინა 7.1 მილიარდი ლარი, რაც 7.4%-ით უფრო მეტია 2014 წლის მაჩვენებელზე, რომელმაც 6.7 მილიარდი ლარი შეადგინა. 2004 წელს გაყიდვებმა 0.7 მილიარდი ლარი შეადგინა და 2015 წლამდე ყოველწლიურად საშუალოდ 23.6%-ით იზრდებოდა. 2015 წელს ვაჭრობის წილმა საქართველოს „მშპ"-ში 2.4 მილიარდი ლარი (7.5%) შეადგინა. მთლიან ეკონომიკაში ვაჭრობის წილი სტაბილურად ნარჩუნდება და 2009 წლიდან მოყოლებული 7.1%-სა და 8.0%-ს შორის მერყეობს. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მომავალში ვაჭრობის მოცულობის ზრდა ახლო კავშირში იქნება მთლიანი ეკონომიკის ზრდასთან.

საცალო ვაჭრობა ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ უდიდეს სეგმენტს წარმოადგენს და 2009-2015 წლების პერიოდში წლიურად 11%-ით იზრდებოდა. იგი, საბითუმო ვაჭრობასთან ერთად „მშპ"-ს 15%-ს შეადგენს და მასზე დასაქმებულთა 19% მოდის (143,187 ადამიანი 2015 წლის IV კვარტალში). ბოლო სამი წლის განმავლობაში თბილისში ვაჭრობა 42%-ით გაიზარდა და მთლიანი ვაჭრობის 80%-ს, ხოლო დედაქალაქის „მშპ"-ს 29%-ს შეადგენს.

[1]პარაგრაფი მომზადებულია „საქსტატის" მონაცემების გამოყენებით



ბოლო ათწლეულის მანძილზე საცალო ვაჭრობის სექტორის ზრდა გამოწვეული იყო ერთ სულ მოსახლეზე ხარჯვის დონის ზრდით. ხარჯვა თითქმის გაორმაგდა 675 ლარიდან (2006) 1,322 ლარამდე (2015); თუმცა, ხარჯვის დონე კვლავ დაბალია საერთაშორისო დონესთან შედარებით.

საერთაშორისო პერსპექტივა

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი საინვესტიციო ინტერესი მოიზიდა. ქვეყნის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მიღწევებმა მსოფლიოს გარშემო აღნიშვნა დაიმსახურა.

„A.T. Kearney"-ის 2015 წლის „Global Retail Development Index"-ის (GRDI) მიხედვით, საქართველო დასახელდა როგორც რეგიონში ყველაზე მიმზიდველი საინვესტიციო დანიშნულება საცალო ვაჭრობის სფეროში მოქმედი საერთაშორისო მოთამაშეებისათვის. ანგარიშში საქართველო დასახელდა რეგიონში პირველ ადგილზე, ხოლო 30 განვითარებად ქვეყანას შორის მე-6 ადგილზე, საცალო ვაჭრობის სფეროში ინვესტიციების მიხედვით. ინდექსმა ხაზი გაუსვა საქართველოს „გაუჯერებელ საცალო გარემოს", როგორც ძალიან მიმზიდველ საინვესტიციო შესაძლებლობას. ანგარიშში ყურადღება გამახვილდა ასევე ქვეყნის „სტაბილურ „მშპ"-ზე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ერთ სულ მოსახლეზე მზარდ ხარჯვასა და დაბალი შეღწევადობის დონის მქონე საცალო ბაზარზე".

ანგარიშის თანახმად, 2013 წლის შემდეგ სავაჭრო ცენტრების ფართი 30%-ით გაიზარდა და 2015 წლისათვის ინვესტორთათვის ხელმისაწვდომი იყო $8.4 მილიარდის ღირებულების გამოუყენებელი სავაჭრო ფართი. საერთო ინდექსში, საცალო ვაჭრობის სფეროში ინვესტიციების დონით, საქართველო მე-6 ადგილზე გავიდა, ხოლო სომხეთი და ყაზახეთი - მე-10 და მე-13 ადგილებზე. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ბოლოდროინდელი ზრდის მიუხედავად, ხარისხიანი თანამედროვე სავაჭრო ფართი კვლავ დეფიციტურია.

საკვებით საცალო ვაჭრობა[2]

საკვები და არა-ალკოჰოლური სასმელები სამომხმარებლო კალათის 31%-ს შეადგენს. სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საკვებს და სასმელს მაღალი წილი უკავია მოხმარების მოცულობაში, რადგან ადამიანები ნაკლებს ხარჯავენ გართობასა და დასვენებაზე.

2001 წლის შემდეგ საქართველოში დაიწყო საცალო ვაჭრობის ქსელების კონსოლიდაციის პროცესი და დამოუკიდებელი „მინი-მარკეტები“ ორგანიზებულმა ქსელებმა ჩაანაცვლეს. უმეტეს შემთხვევაში ქსელებს აქვთ საშუალება შესთავაზონ მომხმარებელს უკეთესი ფასი, მიმზიდველი ლოიალურობის პროგრამები, თანმიმდევრული ხარისხი და თანამედროვე სავაჭრო გარემო, რაც მათ საშუალებას აძლევს მოიზიდონ და შეინარჩუნონ მომხმარებელი.

ტრადიციულად, საქართველოში საკვებით საცალო ვაჭრობა ხდება შემდეგი საშუალებებით: *დიდი სავაჭრო ცენტრები* - სავაჭრო ადგილები სამი ან მეტი სალაროთი, სადაც მომხმარებელითავად იღებს და აგროვებს ნაწარმს; *მცირე მაღაზიები* - მაღაზიები ორი ან ნაკლები სალაროთი, ხშირად დახლს-ზემოთ მომსახურებით; *კიოსკები* - ტროტუარზე განლაგებული მცირე ზომის ჯიხურები, რომლებშიც შესვლაც მომხმარებელს არ შეუძლია და რომლებიც ყიდიან ჩვეულებრივი მოხმარების საჭმელს და სასმელს; *ქუჩის გამყიდველები* - გარე-მოვაჭრეები პროდუქციის ძალიან მცირე ასორტიმენტით; *ღია ბაზრები* - საცალო მომხმარებელზე ორიენტირებული ინდივიდუალური დახლების გაერთიანება.

მომხმარებლის გემოვნების განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა ახალი სავაჭრო სივრცის კონცეფციების დანერგვა, რის შედეგადაც გაიხსნა პირველი *ჰიპერმარკეტები* და *თვითმომსახურების საცალო მაღაზიები*. პირველი მოთამაშეები იყვნენ „გუდვილი“ და „პოპული“, თუმცა მათ მალევე სხვა კომპანიებიც დაემატნენ. მსგავსი მაღაზიები ხელმისაწვდომ ადგილებში არიან განთავსებულნი და მომხმარებელს სავაჭრო სივრცის გარდა ასევე სთავაზობენ საკვებ პუნქტებს, საცხობებს და სხვა მომსახურებას. *სუპერმარკეტების* რამდენიმე ქსელი გაფართოვდა ქალაქის ცენტრსა და საცხოვრებელ უბნებში. ცენტრალური ადგილმდებარეობა, თანამედროვე დიზაინი, პროდუქციის ფართო არჩევანი (რაც ხშირად მოიცავდა მაღაზიის შიგნით გახსნილ სასადილოს და საცხობს) მოითხოვდა ჩვეულებრივ მაღაზიებთან შედარებით უფრო დიდ ინვესტიციებს კაპიტალსა და სამუშაო ძალაში. შედეგად, სუპერმარკეტები უფრო მაღალ ფასად ყიდდნენ პროდუქციას და შედეგად უფრო შეძლებულ მოსახლეობაზე ახდენდნენ ორიენტირებას.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უმსხვილესი 9 სუპერმარკეტების ქსელის წილი საერთო საცალო გაყიდვებში სტაბილურად იზრდებოდა: 2013 წელს - 15.8%, 2014 წელს - 20.5% და 2015 წელს - 24.1%. ამის მთავარი მიზეზი იმ დამოუკიდებელი სუპერმარკეტების ბაზრიდან გასვლაა, რომლებიც ვერ ახერხებენ კონკურენციის გაწევას (მაგალითად, სუპერმარკეტები „ბიგ ბენი“ და „ზემელი“). ამავდროულად, ძლიერი მოთამაშეები უფრო სუსტ, ხშირ შემთხვევაში რეგიონებზე ორიენტირებულ, ქსელებს ყიდულობენ (მაგალითად, „ფუდმარტის“ მიერ „ვეჯინის“ ან „ნიკორა ტრეიდის“ მიერ „სანდეის“ შეძენა). მთლიანობაში, მიმდინარე ცვლილებები გზას უხსნის დიდი მასშტაბის და მდგრადი დაფინანსების მქონე ქსელებს, რათა მათ დაიკავონ წამყვანი პოზიციები ბაზარზე.

[2]პარაგრაფში გამოყენებულია მენეჯმენტის სავარაუდო მონაცემები

ძირითადი მოთამაშეები სურსათის საცალო ბაზარზე[3]





[3]პარაგრაფში გამოყენებულია მენეჯმენტის სავარაუდო მონაცემები

სავაჭრო ვალდებულებები	2013	2014	2015	2016
ღირებულება (ათასებში)	5,368	8,282	23,882	32,014
მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი	88%	70%	65%	76%
ვალდებულებების გადახდის დღეები	25.3	25.7	38.9	51.9

სესხები და ობლიგაციები

„კომპანიის“ ზრდის პროგრამა და საოპერაციო კაპიტალის მოთხოვნები მთლიანობაში ბანკის სესხებითა და 2016 წლის მარტში ობლიგაციების განთავსებით დაფინანსდა. „კომპანიამ“ 5 მილიონ აშშ დოლარიანი 11%-იანი საპროცენტო განაკვეთის მქონე ორწლიანი ობლიგაციები (ჯამში 5000 ცალი ობლიგაცია) გამოუშვა.

ბანკის სესხების ვადები 1-დან 7 წლამდე მერყეობს და საშუალო საპროცენტო განაკვეთი 12%-ს შეადგენს. ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას უდრის.

ბანკის სესხები (ათასი ლარი)	2013	2014	2015	2016
მიმდინარე უზრუნველყოფილი სესხები	-	3,373	11,354	8,482
გრძელვადიანი უზრუნველყოფილი სესხები	3,103	3,310	29,106	18,827
ობლიგაციები	-	-	-	13,234
ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტები	-	-	-	176
სულ მოზიდული სახსრები	3,103	6,683	40,460	40,719

2016 წელს „ნიკორა ტრეიდს“ ჰქონდა 16 სხვადასხვა სესხი „საქართველოს ბანკისგან“ და დაკავშირებული მხარისგან და ასევე ობლიგაციები:

- 1.2 მილიონიანი ლარში დენომინირებული სესხი დაკავშირებული მხარისგან 2015 წელს იქნა მიღებული და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1.1 მილიონი დაბრუნებულია;
- „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხებიდან 12 მილიონი აშშ დოლარში იყო დენომინირებული, ხოლო დანარჩენი - ლარში. ამ სესხების საპროცენტო განაკვეთი შესაბამისად LIBOR-თან და „სებ“-ის რეფინანსირების განაკვეთთან არის დაკავშირებული და 8%-დან 18%-მდე მერყეობენ. სესხები უზრუნველყოფილია „კომპანიის“ ძირითადი საშუალებებით და თან ერთვის გარკვეული ფინანსური და საოპერაციო შეზღუდვები. აღსანიშნავია, რომ შეზღუდვების ნაწილი მშობელი კომპანიის - სს „ნიკორას“ - საქმიანობას ეხება, რაც „ნიკორა ტრეიდის“ კონტროლს სცილდება.
- ნიკორა ტრეიდის ($5 მილიონიანი) ობლიგაციის განთავსებით მოზიდული სახსრებით ჩაიფარა სესხები, რომელთა ვადიანობა იყო 2 წელზე ნაკლები და საპროცენტო განაკვეთი წლიური 10.5%-11.5% ფარგლებში. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიას“ დასაფარი აქვს 27.3 მილიონი (2015 წლის 31 დეკემბრისთვის 40.5 მილიონი).
- „კომპანიამ“ მოიზიდა $5 მილიონი 2016 წლის მარტში ორწლიანი 11%-იანი ობლიგაციების განთავსების გზით. წლის ბოლოსთვის ობლიგაციების საბალანსო ღირებულება (ლარში) 13.4 მილიონი იყო.

თუ ფასიანი ქაღალდების ემისიით მოზიდული სახსრებით არ ხდება არსებული დავალიანების ჩანაცვლება, კომპანიას აქვს კოვენანტი, რომელიც გულისხმობს აღნიშნული საკითხის სს თიბისი ბანკთან შეთანხმებას. ამ მხრივ, კომპანიას მიღებული აქვს სს თიბისი ბანკის თანხმობა.

„კომპანია“ თავისუფლად იცავს ვალის მომსახურების დაფარვის კოეფიციენტს, რომელიც 2015-2016 წლებში 1.5 ნიშნულზე ქვემოთ არ ჩამოსულა. 2017 წლის აპრილში „კომპანიამ“ სრულად გადაიტანა „საქართველოს ბანკის“ სესხები „თიბისი ბანკში“. საბანკო სესხების სტრუქტურა 2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება (სესხის თანხები მითითებულია ნომინალში):

სესხის მოცულობა	სესხის ტიპი	ვალუტა	მიმდინარე სალდო	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ვადა
7,518,000	გრაფიკიანი სესხი	აშშ დოლარი	7,389,397	8.36%	84 თვე
5,550,000	გრაფიკიანი სესხი	ლარი	4,874,928	12.75%	36 თვე
2,350,000	საკრედიტო ხაზი	ლარი	2,350,000	11.25%	12 თვე

საპროცენტო განაკვეთები ლარში დენომინირებულ სესხებზე ცვლადია და დამოკიდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ რეფინანსირების განაკვეთზე. სესხის საპროცენტო განაკვეთის გადახედვა ხდება თვეში ერთხელ.
აშშ დოლარში დენომინირებული სესხის განაკვეთიც ცვლადია დამოკიდებულია "LIBOR"-ის განაკვეთზე. სესხის საპროცენტო განაკვეთის გადახედვა ხდება 6 თვეში ერთხელ.

სს „ნიკორა ტრეიდი" წარმოადგენს ჯგუფში შემავალი ყველა კომპანიის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული ან/და მომავალში გასაფორმებელი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების საფუძველზე ნაკისრი სასესხო ვალდებულებების თავდებს, ასევე სს „ნიკორა ტრეიდის" კუთვნილი უძრავი ქონება - იპოთეკის, ხოლო მოძრავი ქონება-გირავნობის უფლებით სს „თიბისი ბანკის" სასარგებლოდ დატვირთულია ჯგუფში შემავალი ყველა კომპანიის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული ან/და მომავალში გასაფორმებელი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ჯგუფში შემავალი კომპანია დროულად და ჯეროვნად ვერ შეასრულებს სასესხო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება მოსთხოვოს სს „ნიკორა ტრეიდის" როგორც თავდებს ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანიის გადასახდელი თანხის გადახდა. ასევე ბანკს მოცემულ შეთხვევაში უფლება ექნება ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით მოახდინოს სს „ნიკორა ტრეიდის" იპოთეკით/გირავნობით დატვირთული უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაცია რომელიმე კომპანიის მიერ გადასახადელი თანხის დასაფარად. ანალოგიური წესით ჯგუფში შემავალი ყველა კომპანია წარმოადგენს სს „ნიკორა ტრეიდის" მიერ ნაკისრი სასესხო ვალდებულებების თავდებს და მათი უძრავ-მოძრავი ქონება იპოთეკით/გირავნობით დატვირთულია სს „ნიკორა ტრეიდის" სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად სს „თიბისი ბანკის" სასარგებლოდ.

კაპიტალი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის" სამართლებრივი ფორმა იყო შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება „შპს", ხოლო 100%-იანი წილის მფლობელი სს „ნიკორა".

2016 წლის ბოლოსთვის „კომპანიის" კაპიტალმა 19.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც უდრის 2015 წელს არსებულს და საგრძნობლად მეტია 2014 წლის ბოლოს არსებულ 2.0 მილიონთან შედარებით. კაპიტალის აღნიშნული ზრდა განპირობებულია სს „ნიკორა"-ს მიერ „კომპანიის" დამატებითი კაპიტალიზაციით, რაც დაკავშირებული იყო „ნუგეში"-ს ქსელის შეძენასთან.

2017 წლის ივლისში განხორციელდა „კომპანიის" რეორგანიზაცია, გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება) სააქციო საზოგადოებად. დეტალები მოყვანილია წინამდებარე ემისიის პროსპექტის თავში *„უახლესი პერიოდის მონაცემები"*.

მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა
ბრუნვა, გაყიდული საქონლის თვითღირებულება და საერთო მოგება

2016 წლისთვის „კომპანიის" გაყიდვებმა 218.6 მილიონი შეადგინა, რაც 32%-ით მეტია წინა წელს დაფიქსირებულ 165.4 მილიონთან შედარებით, 120%-ით მეტია 2014 წელს დაფიქსირებულ 99.2 მილიონთან შედარებით და 181%-ით - 2013 წელს დაფიქსირებულ 77.7 მილიონთან.

ახლადშეძენილი აქტივების ინტეგრაცია დასრულდა 2016 წლის ზაფხულში და კომპანიის მმართველობამ სრული კონცენტრაცია გადაიტანა გაფართოებული პლატფორმის ეფექტურობის ზრდაზე.

გაყიდვები (ათასებში)	2013	2014	2015	2016
წმინდა გაყიდვები	77,688	95,911	165,369	218,637
რეტრო ბონუსები	3,044	3,296	6,624	11,746
რეალიზაციის თვითღირებულება	62,369	77,233	134,447	178,409
საერთო მოგება	18,364	21,974	37,546	51,974

ბოლო სამი წლის განმავლობაში „კომპანიის" ბრუნვა კუმულაციური წლიური 41%-ით იზრდებოდა. კონსოლიდირებული *გაყიდული საქონლის თვითღირებულების* ერთადერთი შემადგენელი ნაწილი არის გადასაყიდი საქონლის ღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება 2014 წელს 24%-ით გაიზარდა, 2015 წელს - 74%-ით, ხოლო 2016 წელს -33%-ით, რაც „კომპანიის" გაფართოების პროგრამის შედეგია. შედეგად ბოლო სამი წლის განმავლობაში „კომპანიის" მიერ გაყიდული საქონლის თვითღირებულება კუმულაციური წლიური 42%-ით იზრდებოდა.

ერთობლივი მოგება 2014 წელს გაიზარდა 20%-ით და 22.0 მილიონი შეადგინა, 2015 წელს -71%-ით და 37.5 მილიონი შეადგინა, ხოლო 2016 წელს - 38%-ით და 52.0 მილიონი გახდა. შედეგად კუმულაციური წლიური ზრდა 2013-2016 წლების პერიოდში 41% იყო. „კომპანიამ" შეძლო შეენარჩუნებინა ერთობლივი მოგების მარჟა სტაბილურ დონეზე მერყევი გაცვლითი კურსებისა და ახლად შესყიდული ბიზნესების ინტეგრაციის რთული პროცესის მიუხედავად.

კომპანიის ბრუნვა, გაყიდული საქონელის თვითღირებულება და ერთობლივი მოგება



საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან

„კომპანიის" საოპერაციო ხარჯების შემადგენელი ნაწილების დინამიკა:

- მაღაზიათა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები თითქმის გაორმაგდა და 2015 წელს 30.3 მილიონი შეადგინა (2014 წელს 15.7 მილიონი). 2016 წელს ეს ხარჯები 29.4 მილიონამდე შემცირდა მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიამ" განაგრძო ზრდა;

- ადმინისტრაციულმა ხარჯებმა 2015 წელს 10.6 მილიონი შეადგინა, ხოლო 2014 წელს- 5.5 მილიონი. 2016 წელს ხარჯები 20.6 მილიონამდე გაიზარდა, რაც გაზრდილი კომუნალური ხარჯებით, ხელფასებით და მარაგების ჩამოწერით იყო გამოწვეული;
- მთლიანობაში 2016 წელს საოპერაციო ხარჯებმა 51.1 მილიონს მიაღწია (2015 წელს 41.2 მილიონი), რაც 24%-იან წლიურ ზრდას წარმოადგენს (2015 წელს ზრდამ 94% შეადგინა);
- 2015 წელს „კომპანიამ" 2.2 მილიონიანი ზარალი ნახა (2014 წელს 0.8 მილიონიანი მოგება). თუმცა ახალი აქტივების წარმატებული ინტეგრაციის შედეგად 2016 წელს 1.2 მილიონიანი მოგება დაფიქსირდა.

საოპერაციო ხარჯები, არასაოპერაციო ხარჯები და წმინდა მოგება

„კომპანიის" მომგებიანობაზე ბოლო ორი წლის განმავლობაში გავლენა იქონია არასაოპერაციო ხარჯებმა, რაც გამოიწვია გაცვლითი კურსების ცვლილებამ და საპროცენტო ხარჯებმა.

- საპროცენტო ხარჯი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2015 წელს და 2.6 მილიონი შეადგინა (2014 წელს 0.3 მილიონი). 2016 წელს ხარჯი 4.6 მილიონამდე გაიზარდა; 2015 წლის მეორე ნახევარში ნუგეშის ქსელის შეძენის მიზნით მოხდა დამატებითი სასესხო ვალდებულებების მოზიდვა. სწორედ ამით აიხსნება 2016 წელს საპროცენტო ხარჯების ზრდაც.
- ლარი / დოლარის გაცვლითმა კურსმა 2014 წლის ბოლოს 1.8636 შეადგინა, 2015 წელს - 2.3949, ხოლო 2016 წელს - 2.64686; ანუ 2015 წელს დაფიქსირდა 28%-იანი ვარდნა, ხოლო 2016 წელს - 10%-იანი. კურსების ცვლილებამ გამოიწვია 2.8 მილიონიანი ზარალი 2015 წელს, ხოლო 2014 წელს - 0.3 მილიონი. 2016 წელს საკურსო სხვაობით გამოწვეულმა ზარალმა 3.3 მილიონი შეადგინა.

შედეგად, 2015 წელს ზარალი დაბეგვრამდე 7.8 მილიონი იყო, ხოლო წინა წელს დაფიქსირდა 1.5 მილიონიანი მოგება. 2016 წლის შედეგები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა წინა წელთან შედარებით:

გაყიდვები (ათასებში)	2013	2014	2015	2016	2016 (7 თვე)	2017 (7 თვე)	ნაზრდი
წმინდა გაყიდვები	77,688	95,911	165,369	218,637	120,936	145,318	20.2%
რეტრო ბონუსები	3,044	3,296	6,624	11,746	6,201	10,008	61.4%
თვითღირებულება	62,369	77,233	134,447	178,409	98,719	119,619	21.2%
საერთო მოგება	18,364	21,974	37,546	51,974	28,418	35,707	25.6%
საერთო მოგების მარჟა	23.6%	22.9%	22.7%	23.8%	23.5%	24.6%	
პერსონალის ანაზღაურება	5,987	7,430	13,280	17,712	10,306	11,013	6.9%
კომუნალური ხარჯები	1,289	1,653	3,253	4,815	2,637	2,732	3.6%
იჯარა და სხვა ხარჯები	6,804	9,097	20,072	23,303	13,622	14,793	8.6%
სულ საოპერაციო ხარჯები	14,079	18,181	36,605	45,830	26,566	28,538	7.4%
EBITDA	4,285	3,793	941	6,144	1,852	7,169	287.0%
EBITDA მარჟა	5.5%	4.0%	0.6%	2.8%	1.5%	4.9%	
EBIT	3,348	1,770	(3,228)	577	(1,228)	4,080	
EBIT მარჟა	4.3%	1.8%	-2.0%	0.3%	-1.0%	2.8%	
წმინდა მოგება/ზარალი	2,364	1,170	(6,919)	(7,631)	(3,112)	3,711	
წმინდა მოგების მარჟა	3.0%	1.2%	-4.2%	-3.5%	-2.6%	2.6%	

[1]საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი წლის ბოლო დღისთვის

*რეტრო ბონუსი - ფასდათმობის სახეობა, რომელიც მყიდველს მიეცემა მის მიერ შეძენილი პროდუქციის ღირებულების ნაწილის უკან დაბრუნების გზით, როგორც ანაზღაურება გაყიდვების წახალისებისთვის.

	2013	2014	2015	2016
Current ratio	0.94	0.64	0.51	0.53
Quick ratio	0.29	0.17	0.12	0.17
Debt/equity	0.93	2.79	3.10	7.53
ROA	0.18	0.06	(0.09)	(0.10)
ROE	0.71	0.49	(0.53)	(1.41)
ICR	11.21	13.16	0.37	1.32
Sales per transaction		7.10	6.82	6.81
Sales per square meter		15,188	12,010	12,776

ძირითადი რისკ-ფაქტორების მიმოხილვა

„კომპანიის“ საბაზრო რისკი

„კომპანიის“ საბაზრო რისკი უმთავრესად წარმოიშობა ლარის გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისგან, რომლებიც მომდინარეობს საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ტრანზაქციების უმეტესობა ლარებში ხორციელდება, უცხოეთიდან შესყიდვა უმეტესად დოლარსა და ევროში ხდება. დამატებით, „კომპანიის“ სესხები და ობლიგაციები დოლარშია დენომინირებული. „კომპანიის“ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების ჯამური ჩაშლა მოყვანილია შემდეგ ცხრილში:

	2015			2016		
(ათასებში)	აშშ	ევრო	სულ	ლარი	აშშ	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	---	8	8	---	---	---
ფული და ბანკის ბალანსები	1	---	1	1	---	1
სულ ფინანსური აქტივები	1	8	9	1	---	1
სესხები და ვალდებულებები	33,397	---	33,397	20,676	---	20,676
ობლიგაციები	---	---	---	13,410	---	13,410
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	822	---	822	481	21	502
სულ ფინანსური ვალდებულებები	34,219	---	34,219	34,567	21	34,588
ჯამური რაოდენობა	(34,218)	8	(34,210)	(34,566)	(21)	(34,587)

ამჟამად „ნიკორა ტრეიდი“ არ ახდენს უცხოური ვალუტის რისკების ჰეჯირებას. შემდეგ ცხრილში მოცემულია დოლარი / ლარის გაცვლითი კურსის თეორიული 10%-ანი გამყარების შედეგი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე (ევროს გავლენა დაბალია მცირე ზომის ბალანსების გამო). მაგალითი საილუსტრაციოა, რადგან რეალური შედეგი უცხოეთიდან შესყიდვების მოცულობაზეც იქნება დამოკიდებული.

(ათასებში)	2015	2016
წმინდა მოგება / (ზარალი)	3,340	3,409

2015 წელს სესხების მოცულობა გაიზარდა, ხოლო დოლარში დენომინირებული სესხების საპროცენტო განაკვეთი LIBOR-თან არის დაკავშირებული. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა *საპროცენტო განაკვეთების რისკი*. მომდევნო ცხრილი აჩვენებს საპროცენტო განაკვეთებს „კომპანიის“ სესხებზე და მენეჯმენტის მიერ დათვლილ მგრძნობელობით ანალიზს.

	2015	2016
ლარი	11%	13%
აშშ დოლარი	11%	11%
ევრო	9%	NM
საპროცენტო განაკვეთების 3%-იანი ცვლილების გავლენა (ათასებში)	582	854

თუმცა ამ სიტუაციის გაუმჯობესების მიმართულებით 2017 წელში მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. დეტალები მოყვანილია წინამდებარე ემისიის პროსპექტის თავში *„უახლესი პერიოდის მონაცემები“*.

საკრედიტო რისკი

„კომპანიის“ *საკრედიტო რისკი* ჩნდება კონტრაჰენტებისგან, რომელთა მიმართაც „კომპანიას“ სავაჭრო მოთხოვნები გააჩნია. კონტრაჰენტების მიერ დათქმულ დროს ვალდებულებების გადაუხდელობამ შესაძლოა „კომპანიისთვის“ გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. სავაჭრო მოთხოვნები 2016 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 5.6 მილიონი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო მოთხოვნების 90%-ზე მეტის წარმოქმნა ხდება მომწოდებლებზე რეტრო ბონუსების დარიცხვის შედეგად. მომწოდებლების მიმართ დავალიანება კი მუდმივად აღემატება მათ მიმართ არსებულ მოთხოვნებს. შედეგად, „კომპანიას“ არ აქვს საფუძველი ელოდოს გადაუხდელობას კლიენტებისგან. ამავდროულად, კონტრაჰენტის რისკი საბანკო ბალანსებთან მიმართებით თავიდან არის აცილებული, რადგან საბანკო ანგარიშები მსხვილ ბანკებშია განთავსებული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობასთან და აქტივების და ვალდებულებების ვადიანობაში არსებული განსხვავებებით არის გამოწვეული. „კომპანია“ ამცირებს ამ რისკს ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნებიდან შემოდინებების მკაცრი მართვით. შემდგომ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სამომავლო გადახდების გრაფიკი, როგორც ძირი თანხა, ასევე პროცენტი (დისკონტირების გარეშე):

	2015				2016			
(ათასებში)	უპროცენტო	ცვლადი პროცენტი	ფიქსირებული პროცენტი	სულ	უპროცენტო	ცვლადი პროცენტი	ფიქსირებული პროცენტი	სულ
6 თვეზე ნაკლები	25,003	7,142	700	32,845	33,270	4,965	1,888	40,123
6 თვე - 1 წელი	223	5,478	400	6,101	280	4,963	651	5,894
1 - 5 წელი	---	28,311	---	28,311	---	21,480	12,484	33,964
5 წელზე მეტი	---	9,243	---	9,243	---	2,914	---	2,914
	25,226	50,174	1,100	76,500	33,550	34,322	15,023	82,895

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბოლო ორი წლის განმავლობაში „კომპანიამ“ განახორციელა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

(ათასებში)	2015	2016
პროდუქციის გაყიდვა	1,151	990
მომსახურებების გაწევა	821	1,603
სესხების აღება	1,200	---
პროდუქციის და მასალების შეძენა	(39,091)	(51,187)
მომსახურებების შეძენა	(1,854)	(1,870)

სესხების გადახდა	(3)	(1,100)
პროცენტის დარიცხვა სესხებზე	21	119
სულ	(37,755)	(51,445)

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და ახლო ნათესავებთან მოიცავდა მხოლოდ ხელფასებს და პრემიებს და 2016 წელს შეადგინა - 521 ათასი, ხოლო 2015 წელს - 397 ათასი.

ამჟამად, ემიტენტის კაპიტალში მონაწილეობს მხოლოდ ხუთი თანამშრომელი - 5200 ცალი აქციით. თუმცა იგეგმება, რომ ამ შეთავაზებით გათვალისწინებული აქციების ნაწილი განთავსდება სხვა თანამშრომლებზეც.
ემიტენტის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ შეთავაზებით გათვალისწინებულ 1 000 000 (ერთი მილიონ) ცალ აქციაზე არსებულ აქციონერებს არ აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება.

უახლესი პერიოდის მონაცემები

ფინანსური ინფორმაცია

„კომპანია" არ აქვეყნებს აუდირებულ კვარტალურ ფინანსურ მონაცემებს, თუმცა მენეჯმენტის მიერ მომზადებული მონაცემების მიხედვით კომპანიამ მოსალოდნელზე უკეთეს შედეგებს მიაღწია 2017 წლის პირველ ნახევარში.

	ფაქტი	ბიუჯეტი	ფაქტი
გაყიდვები (ათასი ლარი)	2016 (6 თვე)	2017 (6 თვე)	2017 (6 თვე)
წმინდა გაყიდვები	103,319	109,326	121,668
რეტრო ბონუსები	5,229	5,466	8,031
რეალიზაციის თვითღირებულება	83,835	87,081	99,361
საერთო მოგება	24,712	27,711	30,337
საერთო მოგების მარჟა	23.92%	25.35%	24.93%
საოპერაციო ხარჯები	23,739	24,113	25,412
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	973	3,598	4,925
არასაოპერაციო ხარჯი/მოგება	61	-	337
EBITDA	1,033	3,598	5,262
EBITDA მარჟა	1.00%	3.29%	4.33%

პირველი 6 თვის განმავლობაში წმინდა გაყიდვებმა რეტრო ბონუსების გარეშე შეადგინა 121.7 მილიონი, რაც დაგეგმილ 109.3 მილიონზე მეტი იყო და 18%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლს. ერთობლივმა და საოპერაციო საქმიანობიდან მოგებამ შეადგინა 30.3 მილიონი და 4.9 მილიონი, რაც აღემატება დაგეგმილ 27.7 მილიონს და 3.6 მილიონს, შესაბამისად. საერთო მოგების მარჟის ზრდა გამოწვეულია ასორტიმენტის ოპტიმიზაციით და მომწოდებლებთან კომერციული პირობების გაუმჯობესებით. მოგება საოპერაციო საქმიანობიდან 3,9 მილიონი ლარითაა გაზრდილი, რაც 406%-იან ზრდას შეადგენს. ასევე გაუმჯობესდა EBITDA მარჟა და 4.33% შეადგინა (2016 წელს 1%). ახლადშეძენილი აქტივების ინტეგრაცია 2016 წლის ზაფხულში დასრულდა. გაუმჯობესებული შედეგები ნიკორა ტრეიდის უკეთეს საქმიანობით იყო გამოწვეული.

საკრედიტო ვალდებულებები

2017 წელის აპრილში „კომპანიამ" მოახდინა „საქართველოს ბანკის" მიმართ არსებული ვალდებულებების რეფინანსირება „თიბისი ბანკში". ლარში დენომინირებული სესხები 1-3 წლის ვადიანობის არის და 11.0%-12.75%-იანი საპროცენტო განაკვეთი აქვს, აშშ დოლარში დენომინირებული სესხებს - 7 წლიანი ვადიანობა და 8.36% საპროცენტო განაკვეთი.

აშშ დოლარში დენომინირებული გრაფიკიანი სესხი ნაწილობრივ ჩანაცვლდა სს „ნიკორას" სესხით (1,728 მლნ), რომელსაც კუპონური ობლიგაციის მსგავსი სტრუქტურა აქვს, ძირი თანხის დაფარვა ხდება ვადის ბოლოს (2 წელი), ხოლო პროცენტის კვარტალში ერთხელ. საპროცენტი განაკვეთი - 9% წლიური.

დადებითი შედეგები „კომპანიისთვის":

- სავალუტო სტრუქტურა: რეფინანსირებამდე საბანკო ვალდებულებების 21%-ს შეადგენდა ლარში დენომინირებული სესხები, ხოლო რეფინანსირების შემდეგ მათი წილი 28%-მდე გაიზარდა. საბანკო ვალდებულებების ნაწილის სს „ნიკორას" სესხებით ჩანაცვლების შემდეგ კი 34% შეადგინა.
- საპროცენტო განაკვეთი: რეფინანსირებამდე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი საბანკო ვალდებულებებისთვის შეადგენდა 12.74%-ს, რეფინანსირების შემდეგ -9.45%;
- შემცირდა ჯამური დავალიანება ბანკის მიმართ

ბოლო თვეების განმავლობაში „ნიკორა ტრეიდის" ობლიგაციების (რომლის გამოსყიდვის ვადა 2018 წელს დგება) საკმაოდ აქტიურ ვაჭრობას ჰქონდა ადგილი. საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემების მიხედვით, 2017 წლის 29 აპრილის ჩათვლით, ჯამური ნავაჭრის მოცულობა $615 ათასს აღემატებოდა.

კომპანიის იურიდიული სტატუსის ცვლილება

2017 წლის ივლისში გაიზარდა საწესდებო კაპიტალი 23,020 ლარით და 19,620,000 ლარი შეადგინა. შეიცვალა ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა და გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. 31/07/2017--ის მდგომარეობით განთავსებულია 9 მილიონი ჩვეულებრივი კლასის აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 2,18 ლარს შეადგენს.

კომპანია გეგმავს ქსელის აქტიურ განვითარებას, რისთვისაც საჭირო გახდა დამატებით კაპიტალის მოზიდვა. აღნიშნულის განხორციელების საშუალებად შერჩეულ იქნა აქციების საჯარო შეთავაზება, სწორედ ამ მიზნებიდან გამომდინარე მოხდა ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმის ცვლილება.

სს „ნიკორა ტრეიდის“-ს შიდა სტრუქტურა



სს „ნიკორა ტრეიდის“ ძირითადი აქციონერი არის სს „ნიკორა“, აქციების მცირე რაოდენობას ფლობენ ფიზიკური პირებიც. ასევე 1 მილიონი ჩვეულებრივი კლასის აქცია არის სს “ნიკორა ტრეიდის” საემისიო ანგარიშზე. აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

სახელი, გვარი / დასახელება	აქციების რაოდენობა	გამოშვებული აქციები	განთავსებული აქციები
სს ნიკორა ტრეიდი	1,000,000	10.00000%	0.00000%
სს ნიკორა	8,795,900	87.95900%	97.73222%
სხვა	204,100	2.04100%	2.26778%

ძირითადი თანამშრომლები

„კომპანიას“ მართავს დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერთა გუნდი, რომლის წევრებსაც ბევრი წელი აქვთ ნამუშევარი ჯგუფის შიგნით და გააჩნიათ ხანგრძლივი სამუშაო სტაჟი. სს „ნიკორა ტრეიდის“ ძირითადი თანამშრომლების მოკლე მიმოხილვა:

სამეთვალყურეო საბჭო

ვასილ სუხიაშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

ბატონი სუხიაშვილი სს „ნიკორას“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და სს „ნიკორას“ დირექტორი იყო 1998-იდან 2008 წლამდე, როცა იგი სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე გახდა. სს „ნიკორას“ დაფუძნებამდე იგი მართავდა გაზიანი სასმელის სადისტრიბუციო ბიზნესს მოსკოვში. ბატონ სუხიაშვილის მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი მექანიკურ ინჟინერიაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან.

ირაკლი ბოქოლიშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი/თავმჯდომარის მოადგილე

ბატონი ბოქოლიშვილი „ნიკორა ჯგუფის“ მმართველია 2010 წლიდან, როცა იგი დაინიშნა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. იგი არის „ბაზის ბანკის“ ერთერთი დამფუძნებელი სადაც 15 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის ფინანსური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის. მანამდე იგი მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. ბატონ ბოქოლიშვილს დაცული აქვს დისერტაცია სსრკ-ს გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო აკადემიაში და გააჩნია სამეცნიერო ხარისხი მათემატიკასა და მათემატიკურ მოდელირებაში ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერისტეტისგან. მას აგრეთვე გააჩნია სამეცნიერო ხარისხი საბანკო და საფინანსო საქმიანობაში თბილისის ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

ტოპ მენეჯმენტი

დავით ურუშაძე, აღმასრულებელი დირექტორი

ბატონი დავით ურუშაძე გამოცდილი ფინანსისტია. იგი „ნიკორა ტრეიდის“ დირექტორია 2015 წლის აპრილიდან და მანამდე სამი წლის განმავლობაში ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა. „ნიკორაში“ მოსვლამდე იგი მუშაობა „ბაზის ბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხაზინის დეპარტამენტის უფროსი იყო. ბატონ ურუშაძეს აქვს მაგისტრის ხარისხი ფინანსებში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიდან და ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

თემურ ალექსანდრია, ფინანსური დირექტორი

ბატონი ალექსანდრია „ნიკორა ტრეიდის“ ფინანსური დირექტორია 2015 წლიდან. 2012-2015 წლებში იგი იყო უფროსი ანალიტიკოსი და ბიზნესის განვითარების კოორდინატორი „ვითიბი ბანკში“. მანამდე იგი კორპორატიული ბიზნესის ანალიტიკოსი იყო „პროკრედიტ ბანკში“. ბატონ ალექსანდრიას აქვს ბაკალავრის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

ლია სუხიაშვილი, კომერციული დირექტორი

ქალბატონი ლია სუხიაშვილი „ნიკორა ტრეიდის“ კომერციული დირექტორია 2006 წლიდან, ხოლო 2006 წლამდე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა მშობელი კომპანიის კომერციულ დეპარტამენტში. „ნიკორაში“ მოსვლამდე ქალბატონი სუხიაშვილი თბილისის ენდოკრინოლოგიის საეთაშორისო ცენტრში კარდიოლოგ ქირურგად მუშაობდა. მას აქვს სამედიცინო ხარისხი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისგან.

სალომე ხაბალაშვილი, შესყიდვების დირექტორი

ქალბატონი სალომე ხაბალაშვილი „ნიკორა ტრეიდის“ შესყიდვების დირექტორი 2015 წელს გახდა. 2010-2014 წლებში იგი რამდენიმე ქართულ კომპანიაში საქმიანობდა, მათ შორის, იყო შესყიდვების უფროსი Ideal Home-ში, მენეჯერი Maxhome-ში და შესყიდვების მენეჯერი Cash and Carry-ში. იგი მუშაობდა კორპორატიული კლიენტების აღმასრულებლის პოზიციაზე „საქართველოს ბანკში“ 2008-2009 წლებში და სხვადასხვა პოზიციაზე „ბაზისბანკში“ წინა ოთხი წლის განმავლობაში. ქალბატონ ხაბალაშვილს აქვს ბაკალავრის ხარისხი გერმანულ ლიტერატურაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან და ბიზნესის ადმინისტრირების სერთიფიკატი თბილისის ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლისგან.

მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა

ზოგადი მიმოხილვა

სს „ნიკორა ტრეიდი“, ექვემდებარება გარკვეულ საკანონმდებლო შეზღუდვებს, რამდენადაც ის ოპერირებს საკვების საცალო გაყიდვაში. შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას გარკვეული საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია პროდუქტების მიმოქცევასთან და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებასთან. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იმ ტექნიკური რეგულაციების აბსოლუტური უმეტესობა, რომლებიც რელევანტურია „კომპანიის“ ბიზნეს-საქმიანობისთვის.

მარეგულირებელ კანონმდებლობის განვითარება

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებდა საცალო გაყიდვებს (მათ შორის, საკვები პროდუქტების საცალო გაყიდვებს) იყო 1996 წლის 20 მარტს მიღებული საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. კანონი არეგულირებდა მომხმარებელთა საბაზისო უფლებებს და აღიარებდა კეთილსინდისიერი ვაჭრობის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გაყიდული პროდუქტის უსაფრთხოება, პროდუქტის ადეკვატური ხარისხი, სწორი და ზუსტი ინფორმაცია პროდუქტზე და სხვ. კანონი ეფუძნებოდა პოსტსაბჭოთა სტანდარტებს და აწესებდა პასუხისმგებლობას საცალო გამყიდველებისა და მწარმოებლების მიერ კანონში განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის. შესაბამისი ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო სასამართლო გზით. კანონი რამდენჯერმე შეიცვალა სექტორში არსებული გარემოს ცვალებადობის გამო.

კანონთან ერთად, ამ უკანასკნელის შევსების მიზნით, 1996 წლის 13 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე ნორმატიული აქტი. აღნიშნული აქტები, მათ შორის, მოიცავდა სპეციალური საკვები და არა-საკვები პროდუქტების გაყიდვის წესებს, ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვის წესებს, ალკოჰოლის გაყიდვის წესებს, და ა.შ. სხვა სფეროების რეგულირების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ მრავალ ტექნიკურ რეგულაციასთან ერთად, არსებობდა ცალკე კანონები სტანდარტიზაციის (1999 წლის 25 ივნისი), პროდუქციის და მომსახურების სერთიფიკაციის (1996 წლის 6 სექტემბერი) და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოში საკვები პროდუქტის საცალო გაყიდვასთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც უზრუნველყოფდა საკვები პროდუქტის უსაფრთხოებას, იყო 1999 წლის 25 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი საკვებისა და თამბაქოს შესახებ. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მსგავსად, აღნიშნული კანონიც ეფუძნებოდა საბჭოთა სტანდარტებს და იყო ზოგადი ხასიათის. კანონი შეიცავდა შეზღუდვებს საკვების წარმოებაში პოტენციურად საშიში ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით და არ ითვალისწინებდა კონკრეტულ პასუხისმგებლობის ზომას აღნიშნული შეზღუდვების დარღვევისთვის, რაც რეგულირდებოდა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსებით. ბუნებრივად, მზარდმა ბაზარმა და საკვების ადგილობრივი მწარმოებლების განვითარებამ წარმოშვა უფრო ახალი მარეგულირებელი სტანდარტების დადგენის საჭიროება, რამაც შედეგად გამოიწვია პროდუქტის უსაფრთხოებისა და ხარისხის შესახებ კანონის (2005 წლის 27 დეკემბერი) და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიღება.

თუმცა, აღნიშნული რეგულაცია პრაქტიკაში საკმაოდ არაეფექტური აღმოჩნდა, რამდენადაც იგი ეფუძნებოდა მოძველებულ სტანდარტებს, არ იყო რელევანტური დასავლური ბაზრისა და თავისუფალი ეკონომიკისთვის, შეიცავდა ბევრ წინააღმდეგობრივ ნორმას და, შედეგად, იყო გამოუსადეგარი. დანაწევრებული კანონების ცენტრალიზებისა და საკანონმდებლო სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 8 მაისს მიღებულ იქნა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ახალი კოდექსი. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და ასევე სხვადასხვა კანონებსა და ტექნიკურ

რეგულაციებში არსებული არაეფექტური საკანონმდებლო ნორმის გაუქმებას. რაც შეეხება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსს, იგი იყო „DCFTA"-ის მოლაპარაკებებისთვის საქართველოს მზადყოფნასთან დაკავშირებით ევროკავშირის კომისიის რეკომენდაციების პირდაპირი შედეგი.

ორივე კოდექსი, მათში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით არის ძალაში. ისინი აღიარებენ ევროკავშირის დირექტივებით გარანტირებულ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სტანდარტებს პროდუქტის მიმოქცევასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და აწესებენ პასუხისმგებლობას უხარისხო პროდუქტისთვის და პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების დარღვევისათვის. სოფლის მეურნეობის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო არის ძირითადი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს კოდექსების მოთხოვნათა დაცვას პრაქტიკაში.

საკვების წარმოებისა და გაყიდვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ძირითად მახასიათებლები

როგორც უკვე აღინიშნა, საკვების წარმოება (მათ შორის, მეცხოველეობა საკვების წარმოების მიზნებისათვის) და საკვების საცალო გაყიდვა რეგულირდება ორი ძირითადი საკანონმდებლო აქტით: პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით.

I. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი ძირითადად კონცენტრირებულია მწარმოებლის პასუხისმგებლობაზე უხარისხო პროდუქტისათვის და აწესებს გარკვეულ მოთხოვნებს პროდუქტის შესახებ მომხმარებლისთვის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, და, შესაბამისად, უზრუნველყოფს უსაფრთხო პროდუქტის განთავსებას ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ კოდექსი განვითარებული ქვეყნების უცხოურ სტანდარტებს აღიარებს საკმარის მტკიცებულებად, რათა იქ წარმოებული პროდუქცია დაუშვას ქართულ ბაზარზე ყოველგვარი დამატებითი პროცედურის გარეშე.

კოდექსი ადგენს მწარმოებლის პასუხიმგებლობას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს საქართველოში უცხოური პროდუქტის იმპორტიორის პასუხისმგებლობას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მწარმოებელს აქვს წარმომადგენლობა საქართველოში) ნებისმიერი იმ ზიანისთვის და/ან დანაკარგისთვის, რომელიც გამოწვეულია უხარისხო პროდუქტით. შესაბამისი მოთხოვნის ხანდაზმულობის პერიოდი შეადგენს 3 წელს, რომლის ათვლაც იწყება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა გაიგო (ან უნდა გაეგო) თავისი უფლებების დარღვევის შესახებ, იმ პირობით, რომ დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის გამომწვევი პროდუქტის ბაზარზე განთავსების მომენტიდან 10 წლის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულებით და მისი გამორიცხვა დასაშვებია მხოლოდ კოდექსით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში (მაგ. პროდუქტი არ იყო უხარისხო იმ მომენტში, როცა განთავსდა ბაზარზე და სხვ.).

მწარმოებელი ვალდებულია მომხმარებლებს მიაწოდოს ყველა შესაბამისი ინფორმაცია ბაზარზე განთავსებულ პროდუქტთან დაკავშირებით, მათ შორის, გამოყენების ინსტრუქცია და შესაძლო გვერდითი მოვლენები. თუ დადასტურდება, რომ პროდუქტმა შესაძლებელია მნიშნელოვანი რისკი შეუქმნას მომხმარებლებს, მწარმოებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის ორგანოს და გამოიყენოს ყველა გონივრული ზომა შესაძლო შედეგის შესამცირებლად (მაგ. ამოიღოს პროდუქტი). კოდექსი ასევე შეიცავს იმ ინფორმაციის დაწვრილებით სიას, რომელიც მითითებულ უნდა იქნას პროდუქტის აღწერაში.

კოდექსის დიდი ნაწილი ეხება მშენებლობისა და სხვა მაღალი რისკის მატარებელი სექტორების (მაგ.: მაღაროები, ნავთობსადენები, და სხვ.) ტექნიკური კონტროლის

საკითხებს. ვინაიდან კანონის აღნიშნული ნაწილი არ არის რელევანტური „ნიკორა ჯგუფის“ საქმიანობისთვის, შესაბამისად, იგი არ უნდა იქნას გათვალისწინებული.

კოდექსი ასევე შეიცავს ცალკე თავებს ტექნიკური რეგულაციებისა და საქართველოს მთავრობის მიერ მათი მიღების პროცედურების, ასევე სტანდარტიზაციის, გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის და შესაბამისობის შემოწმების (პროდუქტის და/ან მასალის შესაბამისობის შემოწმება დადგენილ სტანდარტებთან და ტექნიკურ რეგულაციებთან) შესახებ. აღსანიშნავია, რომ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება მომსახურებაზე.

II. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი აერთიანებს რეგულაციის სამ სფეროს, რომელიც ადრე რეგულირდებოდა სამი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით. კოდექსი ადგენს მარეგულირებლის კომპეტენციასა და ფუნქციებს თითოეული სექტორისათვის და განსაზღვრავს იმ კონტროლის მეთოდებს, რომლითაც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საკანონმდებლო ნორმების ეფექტურ იმპლემენტაციას პრაქტიკაში.

სოფლის მეურნეობის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო არის მთავარი მოთამაშე საკვების წარმოების სექტორში და ყველა ბიზნესოპერატორი, რომელიც საქმიანობს ამ სფეროში, ექვემდებარება სააგენტოს რეგულაციას. აღნიშნული მიზნებისათვის, თითოეული საწარმო, რომელიც მოღვაწეობს შესაბამის რეგულირებად სფეროში, ვალდებულია ამგვარ ბიზნესოპერატორად დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში. ამასთან, თითოეული საკვების მწარმოებელი ვალდებულია დანერგოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა. საკვების მწარმოებელმა კოდექსით დადგენილი სტანდარტები უნდა დაიცვას წარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, თავად წარმოებისას, გადამუშავებისას და დისტრიბუციისას.

სააგენტო აღჭურვილია ფუნქციათა ფართო სპექტრით, რომელიც საშუალებას ამლევს მას გააკონტროლოს საკვების მწარმოებლების მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა. მათ შორის, სააგენტო უფლებამოსილია დაავალდებულოს მწარმოებელი ამოიღოს ყველა პროდუქტი, თუ სააგენტოს აქვს „დასაბუთებული ეჭვი“, რომ ეს პროდუქტი შეიძება იყოს მავნე. ასევე, სააგენტოს უფლება აქვს: (ა) შეამოწმოს მწარმოებლის დაწესებულება ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, აიღოს ნიმუშები და შეამოწმოს შესაბამისი დოკუმენტაცია; (ბ) მონიტორინგი გაუწიოს მწარმოებელს წინასწარ დაგეგმილი ვიზიტების მეშვეობით, სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში, წინა წლების შედეგების საფუძველზე (მაგ.: საკვების მოწამვლის, გარემოს დაბინძურების და სხვ. შემთხვევები); (გ) ზედამხედველობა გაუწიოს მწარმოებლის მიერ ნარჩენი საკვების განადგურებას, ბაზრიდან საკვების ამოღებას და რეგულატორის მითითებების შესრულებას. სააგენტოს კომპეტენცია იმ ბიზნესოპერატორებთან მიმართებით, რომლებიც ეწევიან მეცხოველეობას, არის იგივე.

ზემოთ აღწერილი ძირითადი კოდექსების გარდა, საკვების მწარმოებლები და ის საწარმოები, რომლებიც ეწევიან მეცხოველეობას, ექვემდებარებიან საქართველოს მთავრობის მიერ კონკრეტული სექტორებისთვის მიღებულ მრავალ ტექნიკურ სტანდარტს.

„ასოცირების ხელშეკრულების“ საფუძველზე არსებული ვალდებულებები

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე.

„DCFTA“, თავისი არსით, მიზნად ისახავს გაზარდოს თავისუფლება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში, მოიცავს მრავალ რელევანტურ საკითხს (მაგ. საკვების უსაფრთხოება) და გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად დაახლოებას. იგი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ისარგებლოს შემდეგი სამი ძირითადი

თავისუფლებით ევროკავშირის ერთიან ბაზარზე: საქონლის თავისუფლება, მომსახურების თავისუფლება და კაპიტალის თავისუფლება.

„DCFTA"-ის მეოთხე თავი (სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები) შეიცავს საქართველოს ვალდებულებას ექვსი თვის ვადაში (2015 წლის თებერვალი) ევროკავშირს წარუდგინოს ევროკავშირის იმ კანონმდებლობის სია, რომელთანაც უნდა მოხდეს საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება. შემდგომში, აღნიშნული სია შეიცვალა საქართველოში ევროკავშირის ექსპერტების ვიზიტის შედეგად. არსებული რედაქციით კანონმდებლობის სია შეიცავს ევროკავშირის 102 საკანონმდებლო აქტს საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და 84 აქტს ვეტერინარიასთან დაკავშირებით.

არსებობს გონივრული ვარაუდი იმისა, რომ საკვების წარმოებასთან და მეცხოველეობასთან დაკავშირებით ევროკავშირის სტანდარტების მიღებამ გაზარდოს შესაბამისი ბიზნესოპერატორების საოპერაციო ხარჯები.

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციის სააგენტო, რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („**კონკურენციის შესახებ კანონი**") საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი" აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „ბაზარზე არსებულ და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის უკეთესი პოზიციის დასაკავებლად არსებული კონკურენცია". ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი" გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე, შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღუდველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი" შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება" შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან" დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, „კომპანია" ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2012 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც

შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

ლიკვიდაციის წესები

როგორც მეწარმე სუბიექტი, „კომპანია“ გარკვეულ მომენტში შესაძლოა დაექვემდებაროს ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი კანონმდებლობა იცნობს ლიკვიდაციის ორ რეჟიმს: (ა) ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია; და (ბ) იძულებითი ლიკვიდაცია.

ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია - როგორც წესი ნებაყოფლობით ლიკვიდაციაზე გადაწყვეტილება მიიღება კომპანიის პარტნიორების მიერ. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კომპანიის წესდებით, პარტნიორები, რომლებიც ფლობენ ხმების 75%-ს ან მეტს, უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება ლიკვიდაციის თაობაზე. აპლიკაციის წარდგენა ხდება საჯარო რეესტრში. ეს უკანასკნელი შეტყობინებას უგზავნის საქართველოს შემოსავლების სამსახურს (იმ პირობით, რომ ლიკვიდაციას წინ უსწრებს აუდიტორული შემოწმება იმის დასადგენად, რომ არ არსებობს რაიმე ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე) და უზრუნველყოფს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების საჯაროობას, რათა ყველა კრედიტორს ჰქონდეს აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა. ყველა კრედიტორის სრული დაკმაყოფილება არის ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის პროცესის წარმატებით დასრულების აუცილებელი წინაპირობა.

იძულებითი ლიკვიდაცია - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიულ პირებს შესაძლოა დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (მათ შორის, პასუხისმგებლობას ფულის გათეთრების, თაღლითობის და უკანონო სამეწარმეო საქმიანობისთვის) და სასჯელი ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც მოიცავს იურიდიული პირის ლიკვიდაციას. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ და მისი აღსრულება უნდა განხორციელდეს მოქმედი წესების და პროცედურების მიხედვით.

გადახდისუუნარობა

დერეგულირებულ იურიდიულ პირებზე, მათ შორის, „კომპანიაზე“, ვრცელდება საქართველოს გადახდისუუნარობის შესახებ კანონით გათვალისწინებული პროცედურები (გამონაკლისია ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ., რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალური

რეგულირების რეჟიმს და რომელთა გადახდისუუნარობის პროცედურა რეგულირებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ).

კომპანიის გადახდისუუნარობის შეფასება ხორციელდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია იურიდიულ პირს მისი ვალდებულებების დაფარვამათი შესრულების ვადის დადგომისას. გადახდისუუნარობის პროცედურები შეიძლება დაიწყოს, თუ მოვალე გადახდისუუნარო გახდება ან შესაძლოა გახდეს გადახდისუუნარო ახლო მომავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადეკვატური ზომები იქნება მიღებული შესაძლო გადახდისუუნარობის თავიდან ასაცილებლად. გადახდისუუნარობის საქმისწარმოება შესაძლოა დაიწყოს თავად კომპანიამ ან მისმა კრედიტორებმა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი დაწყების კანონით განსაზღვრული წინაპირობები.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარიმართოს გადახდისუუნარობის პროცესი: ა) გაკოტრება, რასაც მოჰყვება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია); ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგივებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურიზაციასთან); ან გ) გადახდისუუნარობის საქმის შეწყვეტა. „გ“ პუნქტში აღნიშნული ოფციის გამოყენება შესაძლოა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს გადახდისუუნარობის საფუძვლები ან ასეთი საფუძვლები აღმოფხვრილ იქნა გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ ან მოვალეს აქვს შესაძლებლობა მიმდინარე დავალიანებები გაისტუმროს სხვა კრედიტორების ინტერესების ხელყოფის გარეშე.

გაკოტრების შემთხვევაში კომპანიის აქტივები გაიყიდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე და კრედიტორები (რაც ასევე მოიცავს ობლიგაციების მფლობელებს) დაკმაყოფილდებიან კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით:

i. პირველი რანგი - აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის გადასახდელი პროცედურული ხარჯები და მოსაკრებელი;
ii. მეორე რანგი - სასამართლოში გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ წარმოშობილი ვალდებულებები, რაც მოიცავს საგადასახადო ვალდებულებებს;
iii. მესამე რანგი - გაკოტრების მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებული ხარჯები და მისი ანაზღაურება;
iv. მეოთხე რანგი - ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, რაც მოიცავს საგადასახადო უზრუნველყოფილ მოთხოვნებს;
v. მეხუთე რანგი - საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი და არ ვარდება მეოთხე რანგში;
vi. მეექვსე რანგი - ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა;
vii. მეშვიდე რანგი - დაგვიანებული მოთხოვნები ანუ მოთხოვნები, რომელიც სასამართლოს წარედგინა კანონით დადგენილი მოთხოვნების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ.

ამონაგები თანხა, რაც არ არის საკმარისი ერთი და იმავე რანგის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, კრედიტორებს შორის განაწილდება თანაბარი პრიორიტეტით შესაბამისი მოთხოვნის თანხების პროპორციულად. ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გააკეთებს განაცხადს გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებაზე და გეგმავს რეაბილიტაცია/რეორგანიზაციას, მაშინ კომპანიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის, რომ მას მოუწევს კომპანიის არსებული კრედიტორების სრულად დაკმაყოფილება.

კომპანია მარეგულირებელ კანონმდებლობასთან მიმართებაში

ემიტენტი წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს, შესაბამისად, ,,ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პერიოდულობით, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება ანგარიშები - წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე. ემიტენტს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენილი აქვს 2016 და 2017 წლების ნახევარწლიური და 2016 წლის წლიური ანგარიში, ამასთან მითითებულ პერიოდებში კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში წარდგენილი აქვს მიმდინარე ანგარიშები.
ემიტენტი მზად არის შემდგომ პერიოდებშიც შესაბამისი საფუძვლების არსებობისას შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნები და ინტერესთა კონფლიქტისა და ინფორმაციის გაცხადების შესახებ.

ემიტენტი, როგორც საცალო-სასურსათო ბაზრის ლიდერი, იღებს ყველა საჭირო ზომას რათა მის მფლობელობაში არსებულ სავაჭრო/სასაწყობო ობიექტებზე დაცული იქნას საკვების წარმოებისა და გაყიდვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ძირითად მოთხოვნები, მათ შორის ტექნიკური აღჭურვილობების დამონტაჟებით, ტემპერატურული რეჟიმების, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვით და კონტროლით. კომპანია კანონმდებლობის დაცვასთან ერთად ზრუნავს მომხმარებლებზე და ცდილობს მათ მიაწოდოს ხარისხიანი პროდუქცია კანონდმებლობით გათვალისწინებული თანდართული ინფორმაციით. პროდუქცია სარეალიზაციო დახლზე განთავსებამდე გადის დეგუსტაციისა და შეფასებას, ლაბორატორიულ კონტროლს, აგრეთვე ვიზუალური დათვალის ეტაპს. კომპანიას ყავს ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც ახორციელებს სავაჭრო ობიექტების შიდა კონტროლს საკვების წარმოებისა და გაყიდვის მარეგულირებელი კანონმდებლობის დაცვის სფეროში. კანონით დადგენილი ამ მოთხოვნების შესრულება დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანახარჯებთან, რაც თითოეულ ობიექტზე განისაზღვრება ობიექტის სიდიდისა და ასორტიმენტის რაოდენობიდან გამომდინარე.

ემიტენტი უკვე მრავალი წელია წარმატებით ოპერირებს საცალო-სასურსათო ბაზარზე, რამაც განაპირობა მარეგულირებული კანონმდებლობის მოთხოვნების ჩარჩო პრინციპებად გადაქცევა და ყოველდღიურ საქმიანობაში დამკვიდრება. შედეგად ემიტენტი იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა შესრულებულ იქნას მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, როგორც სურსათის უვნებლობის, ისე დასაქმების და თავისუფალი კონკურენციის სფეროში.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ბ.ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპანია ადასტურებს, რომ ემისიის წინასწარ პროსპექტში მითითებულ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორ - სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებულ რეგისტრატორსა" და კომპანიის მმართველ ორგანოს წევრებს შორის ინტერესთა კონფლიქტს არ აქვს ადგილი.

მნიშვნელოვანი სასამართლო დავები

ზოგადად, „კომპანიას“ არ აქვს მნიშვნელოვანი სასამართლო დავები. ის სასამართლო დავები, რომლებიც შეიძლება დროდადრო წარმოიშვას, ძირითადად ეხება ტრივიალურ ოპერაციულ საკითხებს და ხშირად არ არის მნიშვნელოვანი ფინანსური კუთხით.

მატერიალური ხელშეკრულება

ამ ეტაპზე კომანიას არ აქვს გაფორმებული რაიმე სახის მატერიალური ხელშეკრულება, რომელზეც მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული კომპანიის საქმიანობა.

ხელმოწერის პროცედურა

„ემისიის საბოლოო პროსპექტი“ გამოქვეყნდება ემიტენტის ვებ-გვერდზე: www.nikorasupermarket.ge ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორმით მიეწოდება დაინტერესებულ პირებს.

ემიტენტის აქციების ყიდვით დაინტერესებულმა პირებმა, განცხადებით უნდა მიმართონ ემიტენტს წერილობით, ელ.ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა საშუალების მეშვეობით, შემდეგ მისამართებზე:
ელ ფოსტის მისამართი: info@nikoratrade.ge
მისამართი: ქ. თბილისი, მ. ქავთარაძის ქ #11

მიღებული განაცხადების განხილვის შემდეგ, ემიტენტსა და დაინტერესებულ პირს შორის დგება მოლაპარაკება, რა დროსაც თანხმდება აქციის ოდენობა, ფასი და სხვა პირობები. შეთანხმების შემთხვევაში, აქციების ნასყიდობასთან დაკავშირებით ემიტენტსა და დაინტერესებულ პირს შორის ფორმდება გარიგება.

მყიდველის სახელზე აქციების საკუთრების რეგისტრაციისთვის საჭიროა, გარიგების რეგისტრაცია ფასიანი ქაღალდების რეესტრში.

ემიტენტი ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორს წარუდგენს შესაბამის დოკუმენტაციას აქციათა მფლობელების შესახებ. მყიდველის სახელზე აქციების ასახვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაინტერესებული პირებს საკუთრების უფლება აქციებზე წარმოეშობათ მას შემდეგ, რაც სრულად იქნება გადახდილი შეძენილი აქციების და რეგისტრატორის მომსახურების (შეთანხმების შემთხვევაში) ღირებულება, რომელიც დაკავშირებულია შეძენილი აქციების რეესტრში ასახვასთან.

ვინაიდან „აქციებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ხდება საკუთრების უფლების „რეესტრში“ რეგისტრაციის ან „ნომინალური მფლობელის“ (სააღრიცხვო ადმინისტრატორი) ჩანაწერებში ცვლილების შეტანის შედეგად, „კომპანიამ“ მხოლოდ „რეგისტრირებული მფლობელები“ უნდა ჩათვალოს ნამდვილ მესაკუთრეებად.

უარი აქციების განთავსებაზე:

ემიტენტი უფლებამოსილია, დაინტერესებულ პირზე არ განათავსოს აქცია იმ შემთხვევაში თუ:
- დაინტერესებული პირის საქმიანობა ეწინააღმდეგება ემიტენტის ინტერესებს;
- ვერ მოხერხდა გარიგების პირობებზე შეთანხმება;

- დაინტერესებული პირის ემიტენტის აქციონერად ყოფნამ შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს ემიტენტის საქმიან რეპუტაციაზე, სტრატეგიული გეგმების განვითარებაზე, კონფიდენციალური და კომერციული საიდუმლოების დაცვაზე და სხვა.
- ემიტენტის მიერ განსაზღვრულ სხვა დასაბუთებულ შემთხვევებში.

განთავსების/გაყიდვების პერიოდი:

აქციების განთავსება დაიწყება: 2017 წლის 10 ოქტომბრიდან (მაგრამ არაუადრეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის საბოლოო პროსპექტის დამტკიცებამდე)
აქციების განთავსების საბოლოო თარიღი: 2019 წლის 01 აპრილი.

იმ შემთხვევაში თუ განთავსების საბოლოო თარიღისთვის, სრულად არ იქნება განთავსებული შეთავაზებული აქციები, განუთავსებელი აქციები გაუქმებულ იქნება, რაც ნიშნავს ნებადართული აქციების რაოდენობის შემცირებას გაუქმებული აქციების რაოდენობით. საზოგადოების დირექტორი ვალდებულია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება საზოგადოების წესდებაში, რაც არ მოითხოვს საერთო კრების გადაწყვეტილებას.

ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელი აქციონერის უფლებები

- პირადად ან წარმომადგენლის (საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გაფორმებული და დადასტურებული მინდობილობის) მეშვეობით დაესწრონ აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში (ნებისმიერი შემთხვევაში ფიზიკურად და პირდაპირი ელექტრონული საშუალებით დასწრების გზით.იქონიოს ერთი ხმა აქციონერთა კრებაზე მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებულ ყოველ აქციაზე. მოგების განაწილების შემთხვევაში მიიღოს დივიდენდები მათი კუთვნილი აქციების რაოდენობის პროპორციულად. ემიტენტის წესდების თანახმად ჩვეულებრივი აქციების მფლობელ აქციონერებზე დივიდენდის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება. დივიდენდის გაცემის შემთხვევაში განაწილება ხდება კანონმდებლობით დადგენილი პირობებით. საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდის გაუნაწილებლობასთან დაკავშირებით.
- განკაგოს საკუთარი აქციები კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში მიიღონ მისი ქონების ნაწილი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად;
- ისარგებლოს კანონით და ემიტენტის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

დაბეგვრის პირობები

„ფასიანი ქაღალდების "დაბეგვრა საქართველოში

წინამდებარე თავი შეჯამებას უკეთებს ქართულ საგადასახადო სისტემას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „აქციების" მფლობელთათვის. წინამდებარე შეჯამება ეფუძნება „კომპანიის" მიერ მოქმედი კანონების, რეგულაციების და გადაწყვეტილებების გაგებას და ექვემდებარება საგადასახადო სამართლის ინტერპრეტაციების და პრაქტიკის ცვლილებებს, მათ შორის, ცვლილებებს, ინტერპრეტაციებს და განცხადებებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ უკუძალა. ქვემოთ აღნიშნული გარკვეული განცხადებები „აქციების" მფლობელების შესაძლო საგადასახადო რეგულირებასთან დაკავშირებით ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული.
წინამდებარე შეჯამება არ აღწერს ყველა საგადასახდო რეგულაციას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „აქციების" მფლობელებისთვის, განსაკურებით იმ „აქციების" მფლობელთათვის, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური საგადასახადო წესები. რეკომენდებულია „აქციების" მფლობელებმა კონსულტაციები გაიარონ მათ პროფესიონალ მრჩევლებთან „აქციების" შეძენის შედეგებთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის რეზიდენტებიც არიან.

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს საგადასახადო საკითხების ზოგად მიმოხილვას „აქციებთან“ დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით. როგორც საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროები, საქართველოს საგადასახადო სამართალი და პრაქტიკა არ არის ისე მკაფიო და ნათელი, როგორიც სხვა უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში. შესაბამისად, შესაძლებელია მასში შევიდეს ცვლილებები, როგორც კანონში, ასევე მის ამჟამინდელ ინტერპრეტაციაში, რაც მოიცავს ცვლილებებს, რომლებსაც აქვთ უკუძალა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია „აქციების“ მფლობელების მიერ გადასახდელი თანხები დაექვემდებაროს საგადასახადო დაბეგვრას ან ამჟამად არსებული საგადასახადო განაკვეთები გაიზარდოს, რაც შეუძლებელია ნავარაუდები იქნას წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის. „აქციების“ თითოეულმა პოტენციურმა შემძენმა უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო პრობლემატიკა იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც გავრცელდება მის მიერ „აქციების“ შეძენაზე, ფლობასა და გაყიდვაზე.

დივიდენდის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „აქციების“ მფლობელი ფიზიკური პირებისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით, ასეთი დივიდენდი არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება. „აქციების“ მფლობელი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები საწარმოს მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მიღებული დივიდენდები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, თავისუფლად მიმოქცევადი „აქციებიდან“ (საფონდო ბირჟის ლისტინგში სავაჭროდ დაშვებული საჯარო ან სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომლის თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრის ან საანგარიშო წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ საფონდო ბირჟისათვის მიწოდებული ინფორმაციით, უნდა აღემატებოდეს 25 პროცენტს.) მიღებული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება (როგორც ფიზიკური პირებისთვის, ისე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდი). თუმცა, „თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის გამონაკლისის“ პრაქტიკული გამოყენება არ მომხდარა და, შესაბამისად, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მისი გამოყენება არ შეფერხდებაან საერთოდ ნებადართული იქნება. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ „თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის გამონაკლისი“

დაშვებული იქნება, შესაძლოა აღნიშნული გამონაკლისი სადავო გახდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ან ვეღარ იქნას გამოყენებული, თუ 25%-იანი თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის პირობა აღარ იქნება დაკმაყოფილებული.

„აქციების“ გაყიდვის დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების ან საშემოსავლო გადასახადი არ იქნება გადასახდელი „აქციების“ გაყიდვასთან დაკავშირებით, თუ მასზე გავრცელდება „თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის გამონაკლისი“. თუმცა, „თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის გამონაკლისის“ პრაქტიკული გამოყენება არ მომხდარა და, შესაბამისად, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მისი გამოყენება არ შეფერხდება ან საერთოდ ნებადართული იქნება. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ „თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის გამონაკლისი“ დაშვებული იქნება, შესაძლოა აღნიშნული გამონაკლისი სადავო გახდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ან ვეღარ იქნას გამოყენებული, თუ 25%-იანი თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის პირობა აღარ იქნება დაკმაყოფილებული.

თუ „აქციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის გამონაკლისი“, შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

„აქციების“ მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „აქციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „აქციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის გამონაკლისი“, არარეზიდენტი იურიდიული პირები 15%-იან მოგების გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი.

„აქციების“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „აქციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „აქციაზე“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის გამონაკლისი“, არარეზიდენტი ფიზიკური პირები 20%-იან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე.

გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „აქციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „აქციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

„აქციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „აქციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „აქციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის გამონაკლისი“, რეზიდენტი იურიდიული პირები ვალდებულნი არიან გადაიხადონ 15%-იანი მოგების გადასახადი „აქციების“ გასხვისების შემდეგ. მოგების გადასახადის დაანგარიშება მოხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. საგადასახდო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების განაწილება მოხდა იურიდიული პირის პარტნიორებს შორის. შესაბამისად, რეზიდენტ იურიდიულ პირს შესაძლებელია დაუყოვნებლივ არ წარმოეშვას მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

„აქციების“ მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „აქციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „აქციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის გამონაკლისი“, რეზიდენტი ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან გადაიხადონ 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი „აქციების“ გასხვისების შემდეგ. საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება მოხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე.

გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „აქციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „აქციების“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით „აქციების“ რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.

სხვა საკითხები

საქართველოს საგადასახდო კოდექსი საგადასახადო ორგანოს აძლევს უფლებას გადაამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.

გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და „აქციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია

საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური იურისდიქცია „ემისიის პროსპექტსა“ და „აქციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით წარმოშობილ დავაზე (მათ შორის, ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც უკავშირდება „ემისიის პროსპექტის“ ან „აქციების“ გაცემას, ნამდვილობას, არსებობას, შეწყვეტას ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებას).

„ემიტენტი“
სს „ნიკორა ტრეიდი“
საქართველო, ქ. თბილისის, ნაძალადევის რაიონში,
ქავთარაძის, №11

რეგისტრატორი
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი“
მოსაშვილის ქუჩა 11, მე-7 სართული
თბილისი, საქართველო

დადასტურებული და ხელმოწერილია სს „ნიკორა ტრეიდის“-ს მიერ:

2017 წლის 11 ოქტომბერი

სს „ნიკორა ტრეიდის“ აღმასრულებელი დირექტორი:
დავით ურუშაძე (პ/ნ 01029006084):

სს "ნიკორა ტრეიდის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის
ვასილ სუხიაშვილის (პ/ნ 01024003505) მინდობილი პირი
ირაკლი ბოქოლიშვილი (პ/ნ 01024032145)